პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

ორშაბათი, 15 მარტი 1937 წ. № 60 (4861)

ორი წლის წინათ საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკა დაჯილდოვებულ იქნა ლენინის ორდენით.

ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილის, ქართველი ხალხის სახელოვანი მეთაურის ამხ. ლავრენტი ბერიას ხელმძღვანელობით განვლილი ორი წლის მანძილზე მივაღწიეთ განსაკუთრებულ წარმატებებს.

წინ, ახალ-ახალი გამარჯვებისაკენ!

ვასწავლოთ მასებს და ვისწავლოთ მასებისაგან!

ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცის საფუძველი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი მომსახურებას უწევენ ძირეულ ინტერესებს მუშათა კლასისას, ძირეულ ინტერესებს მშრომელებისას, რომელთათვის საბჭოთა წყობილება არის მშობლიური, სასტიკ კლასობრივ ბრძოლებში მოპოვებული, დიადი წყობილება სოციალიზმისა. ბოლშევიკების პარტია ეკუთვნის მუშათა კლასს, რომელმაც იგი წარმოშვა და გახადა თავის ერთგულ, უძლეველ ავანგარდად.

ჩვენი პარტიის ძალა იმაშია, რომ მას თავისი ულრმესი ფესვები გადგმული აქვს მუშათა და გლეხთა მასების შიგ შუაგულში. ქვეყნიერებაზე ჯერ არ ყოფილა ისეთი პარტია, როგორიც ბოლშევიკურია, რომელიც ასე ბრძნულად აერთიანებდეს მასების აზრებს, გრძნობებსა და ნებისყოფას. სრულიად-საკავშირო კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა) მშრომელთა აღიარებული ბელადი და ორგანიზატორია მათს ბრძოლაში უკეთესი ცხოვრებისათვის, კომუნიზმისათვის. უმჭიდროესი და ურღვევი კავშირი მასებთან, რომლებსაც პარტია ასწავლის და რომლებისაგანაც იგი თვითონ განუწყვეტლივ სწავლობს,—აი წამყვანი კანონი ბოლშევიზმისა.

ლენინი და სტალინი ზრდიდნენ და ასწავლიდნენ პარტიულ კადრებს, რომ გულისხმიერად მოპყრობოდნენ ხალხის ხმას. მთელს ჩვენს მუშაობაში მუდამ თვალწინ უნდა გვედგნენ მუშები და გლეხები. მათი გულისათვის ჩვენ უნდა ვისწავლოთ უკეთ გავუძღვეთ სამეურნეო საქმიანობას, უკეთ ვაშენოთ სოციალისტური საზოგადოება. „მასას რომ მომსახურება გაუწიოს და მისი სწორად შეცნობილი ინტერესები გამოხატოს, მოწინავე რაზმმა, ორგანიზაციამ მთელი თავისი საქმიანობა მასაში უნდა აწარმოოს, მიიზიდოს იქიდან უკლებლივ ყველა საუკეთესო ძალა, შეამოწმოს ყოველ ნაბიჯზე, გულდასმით და ობიექტურად, გაბმულია თუ არა კავშირი მასებთან, ცოცხალია თუ არა ეს კავშირი. ასე, და **მხოლოდ** ასე, ზრდის და ანათლებს მასას მოწინავე რაზმი, გამოხატავს მის ინტერესებს, ასწავლის მას დარაზმვას, წარმართავს მასის მთელ საქმიანობას შეგნებული კლასობრივი პოლიტიკის გზით". (ლენინი).

ლენინი გამამათრახებელი სარკაზმითა და გამანადგურებელი კრიტიკით თავს ესხმოდა პარტიულ დიდკაცებსა და გაბიუროკრატებულ კომუნისტებს, რომელნიც შეეჩვივნენ ქედმაღლად ეცქირათ მასებისათვის და ეაზროვნათ ასეულ ათასთა მასშტაბებით, ივიწყებდნენ რა ამავე დროს კონკრეტულ ადამიანს მისი კონკრეტული საჭიროებებითა და მოთხოვნილებებით. ლენინის ბარათები მუშების, გლეხების, ინტელიგენციის ცალკეული სიგნალების გამო შესანიშნავი სიმკვეთრით გვიჩვენებენ მის სიყვარულს ადამიანისადმი, იმ ყურადღებასა და გულისხმიერებას, რომლითაც იგი ეხმაურებოდა ყოველივე ცოცხალს, განაზოგადებდა რა ერთეულების გამოცდილებას პარტიისა და მუშათა კლასის გამოცდილებად. „ლენინი გვასწავლიდა,—ხაზს უსვამდა ამხანაგი სტალინი,—რომ ნამდვილ ხელმძღვანელ-ბოლშევიკებად მხოლოდ ისეთ ხელმძღვანელებს შეუძლიათ ყოფნა, რომელთაც უნარი შესწევთ არა მარტო ასწავლონ მუშებსა და გლეხებს, არამედ ისწავლონ კიდეც მათგან". ეს სიტყვები გზის მანათობელი ვარსკვლავი უნდა იყოს თვითეული პარტიული მუშაკის ცხოვრებასა და მუშაობაში. კონკრეტულობა ყველა თავისი გამოხატულებით, ცოცხალი სინამდვილის შესწავლა, ყურადღება „წვრილმანებისადმი", უნარი ყური ათხოვო ეგრეთწოდებულ პატარა ადამიანთა ხმას, პერსპექტივიანი მუშაობა,—აი რა ახასიათებს ბოლშევიკს, მასების ნამდვილ ხელმძღვანელს. ეს კი თავის მხრივ გულისხმობს მასებთან მუდმივი კავშირის არსებობას, სწავლასა და გამოცდილების ყოველდღიურ დაგროვებას, ბრძოლას ამპარტავნობასთან, თავზვიადობასთან და თავშეყვარებასთან.

მუშათა კლასის მტკიცე და ურღვევი დიქტატურის პირველი და აუცილებელი პირობაა პარტიის უაღრესად მჭიდრო კავშირი მშრომელ მასებთან, მათი ურთიერთ გაგება და ნდობა. ცხოვრებისა და ბრძოლის დროს მშრომელი მასები უდიდეს გამოცდილებას აგროვებენ. ხშირად ხომ ასე ხდება: რასაც პარტიული ხელმძღვანელები ხედავენ, იმას ქვემოთ ვერ ხედავენ. ხდება პირიქითაც. აი ამიტომ პარტიული ხელმძღვანელების ამოცანა იმაში მდგომარეობს რომ მათ უნარი შესწევდეთ შეაერთონ, შეათავსონ ეს ორმაგი გამოცდილება, გამდიდრდნენ მასების პრაქტიკით, გამონახონ და გადაჭრან ახალი ამოცანები, რომლებიც აჩქარებენ ჩვენს წინსვლას.

კრემლის ტრიბუნა დამსახურებულად გახდა ტრიბუნად სრულიად-საკავშირო გამოცდილებისა, რომელსაც მასები უზიარებენ თავის ხელმძღვანელებს. როდესაც რამდენიმე წლის წინათ პარტიის ც. კ-მა ხელი მოჰკიდა უდიდეს სამეურნეო პრობლემას—დონბასში ქვანახშირის ამოღების გადიდებას, პრობლემის გადაჭრა ვპოვეთ რიგითი მაღაროელების დახმარებით, რომლებმაც მიგვითითეს, კერძოთ, იმაზე, რომ აუცილებლად საჭიროა ლიკვიდაცია გათიშვისა ძირითადი კადრების—მიწისქვეშა მუშების [illegible] და მიწისზედა, დამხმარე მუშების მაღალ ხელფასს შორის. ამხანაგი სტალინი ასწავლის პარტიულ კადრებს იმ კოლექტიური ხელმძღვანელობის ხელოვნებას, რომელიც ემყარება გამოცდილების აღნუსხვას, ყველასი და თვითეულისა, ვისთვისაც კი ძვირფასია ჩვენი სამშობლოს ინტერესები.

რა, სრულიად გაუმართლებელი აჩქარებით უყვარს ზოგიერთ სამეურნეო მუშაკს, ხოლო მათთან ერთად პარტიულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებსაც ხმაურითა და დიდის ამბით გვიპატაკონ გეგმის შესრულება.

ხშირად ამ პატაკის იქით, ამ ზოგადობის იქით იმალება და იფარება ცალკეულ საამქროთა, ცალკეულ ხელმძღვანელთა დეფექტები, სუსტდება სიფხიზლე. ცენტრალური კომიტეტი ჰგმობს ამ პატაკმანიას, აფხიზლებს წრეგადასულ სამეურნეო მუშაკებსა და პარტიულ ხელმძღვანელებს. მშრალი ციფრები კი, როდესაც ერთეული, კონკრეტული იჩქმალება — ჩრდილავენ ცოცხალ ადამიანს, მის სიგნალებს, მის წინადადებებს, მის კრიტიკას.

ც. კ-ის პლენუმმა მთელი სიმკვეთრით სთქვა, რომ დემოკრატიული ცენტრალიზმის საფუძველთა დარღვევანი ვნებას აყენებენ პარტიას, რადგან ისინი აფერხებენ პარტიის წევრთა აქტივობის ზრდას მხოლოდ გონებაზანტებს, გაბიუროკრატებულ ხელმძღვანელებს შეუძლიათ იფიქრონ, რომ ჩინი ყველაფერს იძლევა. სისულელეა! ჩვენ ყველამ უნდა ვასწავლოთ მასებს, ყოველდღე ვისწავლოთ ცხოვრებისაგან და ერთი წუთითაც არ დავარღვიოთ კავშირი მუშათა კლასთან, ყური მივაპყრათ ქვედაფენების ხმას, ეგრეთწოდებულ პატარა ადამიანთა ხმას, რომელთაც ჩინები არა აქვთ, მაგრამ აქვთ ცხოვრების მდიდარი გამოცდილება. თვითონ პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ დიდი ავტორიტეტებიც კი შეიძლება ნოლამდე ჩამოქვეითდნენ, არარად გადაიქცნენ, როგორც კი ისინი დაჰკარგავენ კონტაქტს მასებთან.

შემთხვევითი როდია, რომ იმ პარტიულ ორგანიზაციებში, რომელთა ხელმძღვანელებიც ცუდად უგდებდნენ ყურს ცალკეულ კომუნისტთა ხმას, უფრო სუსტად სცემდა პარტიული ცხოვრების მაჯა. ხომ სწორედ ასე იყო საქმე—და ეს აღნიშნა ც. კ-ის პლენუმმა—კიევისა და აზოვ-შავი ზღვის ორგანიზაციებში. იქ განცხრომას ეძლეოდნენ, გატაცებული იყვნენ გარეგნობით, მოჩვენებითი მუშაობით, ვერ ამჩნევდნენ, თუ რა ხდებოდა ცხვირწინ, ყრუნი რჩებოდნენ პარტიის ცალკეულ წევრთა სიგნალებისადმი. კიევში რომ დროზე გამოხმაურებოდნენ ასპირანტი ქალის ამხ. ნიკოლაენკოს სიგნალს, ხარკოვში რომ ყური ეთხოვებინათ ამხ. ოკუშკოს სიგნალისათვის, რომელიც ამხელდა ტროცკისტებს სამხრეთის გზაზე, ოდესაში რომ ანგარიში გაეწიათ ამხ. ნიკოლაევის სიგნალისათვის, რომელიც ამხელდა ტროცკისტებს წყალთა ტრანსპორტის ინსტიტუტში,—შეეძლოთ ბევრი რამ თავიდან აეცილებინათ და გაცილებით უფრო ადრე ემხილებინათ ჯაშუშ-დივერსანტთა ძირგამომთხრელი მუშაობა ამ ორგანიზაციებში, მაგრამ პატიოსან კომუნისტებს სდევნიდნენ, მტრობდნენ და პარტიიდანაც კი რიცხავდნენ. ამ ერთგული ბოლშევიკების პირით ლაპარაკობდა თვით სიმართლე—გრძნობა პასუხისმგებლობისა თავისი პარტიისათვის. საჭირო იყო მხოლოდ შესძლებოდათ ბეჯითად მიეპყროთ ყური ქვემოდან მომდინარე სიგნალებისათვის და კი არ უგულებელეყოთ მოუსვენარი კრიტიკა, რომელიც ზოგჯერ ლახავს ცალკეულ ხელმძღვანელთა თავმოყვარეობას და ამხელს ჩვენს ნაკლოვანებებს მუშაობაში.

ამპარტავნობა. თვითდამშვიდება. გიგანტური მასშტაბებით ოპერირება და პარტიის რიგითი წევრის ინტერესთა დავიწყება—ეს არ არის ხელმძღვანელობის ბოლშევიკური სტილი. „ბოლშევიზმს ასე როდი ესმის ხელმძღვანელობა,—გვასწავლის ჩვენ ამხანაგი სტალინი.—რომ უხელმძღვანელო, წინასწარ უნდა განსჭვრიტო, ხოლო წინასწარ განჭვრეტა, ამხანაგებო, ყოველთვის ადვილი როდია. ერთი საქმეა, როდესაც რიოდე ათეული ხელმძღვანელი იყურება და ამჩნევს ნაკლოვანებებს ჩვენს მუშაობაში, ხოლო მუშათა მასებს არ უნდათ ან არ შეუძლიათ არც ყურება და არც ნაკლოვანებათა შემჩნევა. აქ არის ყველა შანსი იმისა, რომ უეჭველად რამე გამოგეპარება, ყველაფერს ვერ შეამჩნევ. სხვა საქმეა, როდესაც ორიოდე ათეულ ხელმძღვანელ ამხანაგთან ერთად მუშათა ასეული ათასები და მილიონები იყურებიან და ამჩნევენ ნაკლოვანებებს ჩვენს მუშაობაში, ამხელენ ჩვენს შეცდომებს, ებმიან მშენებლობის საერთო საქმეში და სახავენ გზებს საქმის გასაუმჯობესებლად".

რთული, ფრიად დიდი და წარმტაცია პარტიული მუშაობის ამოცანები. პარტიული ხელმძღვანელი მხოლოდ მაშინ გაამართლებს მასების ნდობას, როდესაც იგი გონებითა და გულით შესძლებს გაიგოს ახალი ვითარება, როდესაც მოსინჯავს უტყუარ რგოლებს მუშაობაში და, საპარადო ხმაურისა და რახარუხის აუტეხლად, შეუპოვრად დაეუფლება ბოლშევიზმს, ასწავლის მასებს და სწავლობს მასებისაგან.

„პრავდის" მოწინავე, 14/III

მდგომარეობა ესპანეთში

რესპუბლიკური ავიაციის ოპერაციები გვადალახარის ფრონტზე

ვალენსია, 13 მარტი (საქდესი). გუშინ გვადალახარის ფრონტზე რესპუბლიკურმა გამანადგურებლებმა 8-ჯერ მიიტანეს იერიში ყუმბარების და ტყვიამფრქვევების დაშენით. მეამბოხეთა პოზიციებზე მათ იერიში მიიტანეს დაბლა ფრენით. ჩამოაგდეს 492 ყუმბარა და გაისროლეს 200 ათასზე მეტი ტყვიამფრქვევის ვაზნა.

არგანდის უბანზე (ხარამის ფრონტი) შეამჩნიეს სამი „იუნკერსი", რომლებსაც გამოედევნენ რესპუბლიკური გამანადგურებლები. „იუნკერსები" იძულებული გახდნენ ხელი აეღოთ განზრახულ ბომბარდირებაზე.

მადრიდის ბომბარდირება მეამბოხეთა არტილერიით

პარიზი, 12 მარტი (საქდესი). როგორც მადრიდიდან იუწყებიან, დედაქალაქის საარტილერიო ბომბარდირება 16 საათის შემდეგ შესწყდა. ყუმბარები ქალაქის ცენტრში ცვიოდა. მსხვერპლთა რიცხვი ჯერჯერობით არ არის გამორკვეული.

„ფრენტე როხო" და „ადელანტე" ზურგში ფაშისტთა აგენტების დამარღვეველი მუშაობის შესახებ

ვალენსია, 12 მარტი (საქდესი). კომპარტიის ორგანო „ფრენტე როხო" (წითელი ფრონტი) აღნიშნავს, რომ ელემენტები, რომლებსაც ჩვეულებრივ პრესა „უკონტროლო ელემენტებს" უწოდებს, ცდილობდნენ დაერღვიათ რესპუბლიკური წესრიგი და ამით მძიმე მდგომარეობაში ჩაეყენებინათ რესპუბლიკის საბრძოლო ფრონტები. გაზეთი აღნიშნავს, რომ ეგრეთწოდებული უკონტროლო ელემენტები სინამდვილეში სრულიადაც არ არიან უკონტროლონი, არამედ მათ კონტროლს უწევს მტერი. გაზეთი მოითხოვს უაღრესად გადამწყვეტ და მკაცრ ღონისძიებებს ამ ელემენტთა წინააღმდეგ.

სოციალისტური პარტიის ორგანო „ადელანტე" აგრეთვე მიუთითებს, რომ რესპუბლიკელთა ზურგში ფაშიზმს ჰყავს არა მარტო პირდაპირი აგენტები, რომლებიც ეწევიან დამანგრეველ და დამარღვეველ მუშაობას. მოღალატეები არიან ისინიც, ვინც მოჩვენებითი მემარცხენეობის იარლიკით ხალხის საუკუნოებრივ მტერთა სასარგებლოდ მუშაობს.

„პროვოკატორებს, — განაგრძობს გაზეთი, — იმედი აქვთ დასთესონ შუღლი მთელ ანტიფაშისტურ ხალხურ მასასა და პროლეტარიატს შორის. მთავრობის ყველა მოწინააღმდეგე, ყველა ის, ვისაც აშკარა თუ ფარული, პირდაპირი თუ ზურგიდან ნაწარმოები იერიში მიაქვს მთავრობის წინააღმდეგ, მტრებად უნდა ჩაითვალონ. მათთან ანგარიშის გასწორება შეიძლება მხოლოდ მათი მოსპობის გზით.

ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის კომიტეტის სხდომა

ლონდონი, 12 მარტი (საქდესი). შესდგა ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის კომიტეტის სხდომა. სხდომის შემდეგ გამოცხადებულ იქნა, რომ ჩაურევლობისადმი კონტროლის საერთაშორისო კომისიის თავმჯდომარედ ინიშნება ვიცე-ადმირალი ვან-დულმი (ჰოლანდია), მდივნად და საერთაშორისო ფონდის ხაზინადრად — ჰენინგი (ინგლისი), საზღვაო კონტროლის ადმინისტრაციის მეთაურად — კონტრ-ადმირალი ოლივიე (ჰოლანდია), მთავარ ადმინისტრატორად საფრანგეთში — პოლკოვნიკი ლუნი (დანია).

საერთაშორისო კომისიაში აგრეთვე შევლენ საბერძნეთის, ნორვეგიისა და პოლონეთის წარმომადგენლები.

გვადალახარის ფრონტზე ტყვედნაყვანილ იტალიელთა ჩვენებანი

პარიზი, 13 მარტი (საქდესი). ჰავასის სააგენტოს გადმოცემით, ვალენსიაში ჩავიდნენ იტალიელი ჯარისკაცები და ოფიცრები, რომლებიც ტყვედ ჩაიგდეს რესპუბლიკელებმა ბრიუეგის რაიონში, გვადალახარის ფრონტზე. ტყვეებს დაჰკითხეს გენერალური შტაბის პოდპოლკოვნიკის, ოთხი ფრანგი და ორი ბელგიელი დეპუტატის თანადასწრებით. იტალიელმა ოფიცერმა სილვიამ განაცხადა, რომ ესპანეთში გადმოსხეს 80 ათასი რეგულარული იტალიელი ჯარისკაცი. სილვიას სიტყვით, გვადალახარის ფრონტზე იმყოფება იტალიის 3 დივიზია გენერალ ბერგონზოლის სარდლობით, გენერალი ბერგონზოლი მეთაურობდა მოტორიზებულ დივიზიას, რომელმაც შარშან ადის-აბება დაიკავა. გვადალახარის ფრონტზე იტალიის პირველი დივიზია, რომელიც ცნობილია „ლიტორიოს" სახელწოდებით, და რომელსაც გენერალი მანცინი სარდლობს, 6 თებერვალს ჩავიდა კადიქსში გემ „სიცილიათი". ეს დივიზია გაგზავნეს სევილიაში, შემდეგ კასერესში, ვალიადოლიდში, ალმასანში, არიოსში და, ბოლოს, გვადალახარის ფრონტზე. იტალიელმა ოფიცერმა აგრეთვე განაცხადა, რომ ეს დივიზია იტალიიდან გამოვიდა მთელი სამხედრო საჭურველით — მრავალრიცხოვანი ქვემეხებით, ტყვიამფრქვევებით, ცეცხლმფრქვევებითა და სხვ.

საფრანგეთისა და ბელგიის პარლამენტთა დელეგაციებმა გამოაქვეყნეს ცნობა, რომელშიაც მოყვანილია იტალიელი ოფიცრის სილვიას ზემოაღნიშნული ჩვენება. ცნობაში ნათქვამია: „ამგვარად, ჩვენ მოგვეპოვება ჩაურევლობის პოლიტიკის მოტყუების საბოლოო და უდავო დამამტკიცებელი საბუთები. ჩვენს წინაშე მარტო სამოქალაქო ომი კი არ არის, არამედ მთელი ხალხის გმირული ბრძოლა თავისი ტერიტორიის მთლიანობის დასაცავად, რომელსაც უცხოელთა შემოსევა ემუქრება. გერმანიისა და იტალიის ფაშისტური არმიები იკავებენ სტრატეგიულ პუნქტებს ესპანეთში, ესპანეთის განაწამებ ხალხზე ცდიან ომის იარაღებს და ემზადებიან იმისათვის, რომ მიმართონ ეს იარაღი ევროპის ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის წინააღმდეგ".

საფრანგეთისა და ბელგიის პარლამენტთა დელეგაციები გადაჭრით მოუწოდებენ რესპუბლიკურ ესპანეთთან სოლიდარობისაკენ. „რესპუბლიკურ ესპანეთის ხსნა, — ნათქვამია დასასრულ, — ნიშნავს საყოველთაო მშვიდობიანობის ხსნას".

ფაშისტთა ორგანიზაციის გახსნა მადრიდში

პარიზი, 13 მარტი (საქდესი). ჰავასის სააგენტოს მიერ მადრიდიდან გადმოცემული ცნობით, გაზეთებმა გუშინ გამოაქვეყნეს ოფიციალური ცნობა, რომ მადრიდში გახსნეს ფაშისტთა დიდი ორგანიზაცია „ესპანია უნა" („მთლიანი ესპანეთი"). ფაშისტთა ორგანიზაციას განზრახული ჰქონდა მთელი რიგი პირების მათ შორის გენერალ მიახას მოტაცება. ორგანიზაცია ცდილობდა აგრეთვე განხეთქილება ჩამოეგდო ანარქო-სინდიკალისტური „შრომის ნაციონალური კონფედერაციასა" და „მუშათა საყოველთაო კავშირს" შორის. დაპატიმრებულია 30 კაცი. ორგანიზაციის ხელმძღვანელები იყვნენ ფაშისტური „ესპანური ფალანგის" 2 რწმუნებული. „ესპანია უნას" წევრთა უმრავლესობას ჰქონდა პროფკავშირთა საწევრო წიგნაკები. გაჩხრეკის დროს მათ უპოვეს იარაღი, აგრეთვე ჯარების განლაგებისა და მადრიდის სიმაგრეების გეგმა.

ახალი დოკუმენტები იტალიის ინტერვენციის შესახებ ესპანეთში

პარიზი, 13 მარტი (საქდესი) როგორც ჰავასის სააგენტო მადრიდიდან გადმოგვცემს, 11 მარტს ღამით რესპუბლიკელებმა ხელთ იგდეს იტალიური წარმოების 4 ავტომანქანა. ერთ მანქანაში იპოვნეს დიდძალი დოკუმენტები, კერძოდ, რაიონის რუკა მტრის ძალების განლაგებით. დოკუმენტები იმას მოწმობენ, რომ შავხალათიანთა დივიზია, რომელშიაც ტყვეები შედიოდნენ, ესპანეთში თებერვლიდან იმყოფება.

ინტერვენტთა შეთანხმება

ლონდონი, 13 მარტი (საქდესი). გაზეთების გადმოცემით, გვადალახარის ფრონტზე მეამბოხეთა შეტევა სარაგოსის გზიდან სამხრეთით შეჩერებულია ბუდიასთან (ბრიუეგიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 12 კილომეტრის მანძილზე). მთავრობის თვითმფრინავებს ენერგიული იერიშები მიაქვთ მეამბოხეთა კოლონების წინააღმდეგ და ყუმბარებსა და ტყვიამფრქვევებს უშენენ მათ.

„დეილი ტელეგრაფის" სიტყვით, იტალიის დიდი ძალების მონაწილეობა ოპერაციებში, მადრიდში გავრცელებული აზრით, ადასტურებს არსებულ ცნობებს, რომ რომში გერინგის ყოფნის დროს მუსოლინი დასთანხმდა გაგზავნოს ესპანეთში 40 ათასი იტალიელი. გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც გერმანელთა ნაცვლად იტალიელები გაგზავნეს, ხსნიან იმით, რომ იტალიელებს აბისინიაში მიღებული აქვთ სამთო-ომის გამოცდილება, და რომ იტალიის ჯარების გაგზავნა ნაკლებად აშფოთებს ინგლისსა და საფრანგეთს, ვიდრე გერმანიის ჯარების გაგზავნა.

◇

ჩინეთის საგარეო-პოლიტიკურ ხელშეკრულებათა გადასინჯვის გეგმა

შანხაი, 12 მარტი (საქდესი). სენტრალ ნიუსის სააგენტო ნანკინიდან მიღებულ ცნობაში აღნიშნავს, რომ ნანკინის მთავრობის საგარეო საქმეთა ახალი მინისტრი ვან ჩუნ-გუი ადგენს ჩინეთსა და სხვა ქვეყნებს შორის არსებულ მოძველებულ და არათანასწორუფლებიან ხელშეკრულებათა გაუქმების კონკრეტულ გეგმას.



ქ. გორკის მოლოტოვის სახელობის ავტოქარხანა

ავტომანქანა „მ-1"-ის შასიზე მოტორა დაიდგმება თუ არა, ზევიდან შასიზე დაუშვებენ ძარს, რაც მანქანას თითქმის დამთავრებულ სახეს აძლევს.

სურათზე: „მ-1" ავტომანქანის ძარის დადგმა კონვეიერზე. ძარს იბარებს საუკეთესო სტახანოველი ამწყობი პ. ფ. ბრედიხინი.

ფოტო გ. მ. ლიჩაგინისა („სოიუზფოტო"

ღირსეულად ვატაროთ უმაღლესი ჯილდო

საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით, მთელი რიგი წლების მანძილზე როგორც სოფლის მეურნეობის, ისე მრეწველობის დარგში დიდი წარმატებებისათვის საქართველოს და აზერბეიჯანის რესპუბლიკები, აგრეთვე აფხაზეთის ასს რესპუბლიკა და მათი ხელმძღვანელები—ამხ. ლ. ბერია, გ. მგალობლიშვილი, მ. ბაგიროვი, ჰ. რახმანოვი და აწ განსვენებული ნ. ლაკობა დაჯილდოვებულ იქნენ უმაღლესი ჯილდოთი—ლენინის ორდენით.

ამ დაჯილდოვებამ უდიდესი სიხარული მოჰფინა ამიერ-კავკასიის ყველა მშრომელის გულს და ენტუზიაზმის ახალი ტალღა ააგორა ჩვენი მუშაობის ყველა უბანზე. ამ დაჯილდოვებამ ბრძოლისა და შრომის ახალი ცეცხლი დაანთო სოციალიზმის მშენებლობის ყველა დარგში.

უმაღლესმა ჯილდომ ამავე დროს უდიდესი მოვალეობა დაგვაკისრა. ახალი და კიდევ უფრო დიდი ამოცანები დაგვისახა.

ორდენოსანი საქართველო ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყნად გადაიქცა და სამართლიანად ჩადგა საბჭოთა კავშირის მოწინავე რესპუბლიკებისა და მხარეების რიგებში.

ორდენოსან საქართველოში მუშაობს ასზე მეტი სამრეწველო საწარმო, დღითი-დღე იზრდება სტახანოველ და დამკვრელ ენტუზიასტთა მებრძოლი არმია. მთელ სახალხო მეურნეობაში მრეწველობის პროდუქციის ხვედრითმა წონამ 70 პროცენტს გადააჭარბა.

ჭიათურის მარგანეცის მრეწველობამ გასულ წელს ვადაზე ადრე შეასრულა მეორე ხუთწლედის გეგმა და 1.180 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი მარგანეცი მოგვცა. ინდუსტრიულმა გიგანტმა — ფერომარგანეცმა გასულ წელს ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შეასრულა საწარმოო გეგმა და 6 მილიონი მანეთის პროდუქცია მოგვცა, ხოლო წელს თერთმეტჯერ მეტ პროდუქციას მოგვცემს. 1936 წელს საქართველოს მრეწველობამ 600 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია მისცა ჩვენს ქვეყანას.

უდიდესი მიღწევები მოვიპოვეთ აგრეთვე სოფლის მეურნეობას ფრონტზე. სტალინური წესდების საფუძველზე კოლმეურნეობები იზრდებიან და მტკიცდებიან ორგანიზაციულად, მეურნეობრივად და პოლიტიკურად. საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მინდვრებზე 40.000 ცხენისძალის მქონე 2.400 ტრაქტორი და 200-ზე მეტი კომბაინი მუშაობს. 1935 წელს აზოვ-შავიზღვის მხარესთან შეჯიბრებაში მეთამბაქოობის განვითარების მხრივ საქართველო პირველ ადგილზე გამოვიდა, ხოლო ჩრდილო-კავკასიასთან შეჯიბრებაში, აზერბეიჯანთან და სომხეთთან ერთად, მეცხოველეობის დარგში პირველი ადგილი დაიკავა.

იზრდება ჩაის, ციტრუსოვან ნარგავთა და ვენახების ფართობი. გასულ წელს, გეგმით გათვალისწინებულ 19.250 ტონის ნაცვლად, დამზადებულია 19.628 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, 165 მილიონის ნაცვლად 173 მილიონი ცალი მანდარინი, ხოლო შაქრის ჭარხლის გეგმა 103.8 პროც. შესრულდა.

კულტურის ფრონტზეც უდიდესი მიღწევები იქნა მოპოვებული. გაიფურჩქნა და აყვავდა ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურა. ამის საუკეთესო გამოხატულება იყო მოსკოვში რუსთაველის სახელობის ქართული სახელმწიფო დრამატიული და ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრის, აგრეთვე ამ თეატრების მთელ რიგ მუშაკთა დაჯილდოვება და შემოქმედებითი წარმატებები.

განვლილი ორი წლის მანძილზე მთელი საბჭოთა კავშირისა და კერძოდ საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში უდიდესი ცვლილებები მოხდა.

მიღებულ იქნა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ახალი, გამარჯვებული სოციალიზმის სტალინური კონსტიტუცია. ამავე დროს ამიერ-კავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკა და მისი ხელმძღვანელი ორგანოები ლიკვიდირებულ იქნა, ხოლო აზერბეიჯანის, საქართველოს და სომხეთის სს რესპუბლიკები უშუალოდ შევიდნენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში. ორდენოსანმა საქართველომ მიიღო თავისი ახალი კონსტიტუცია, რომელიც უკვე ძალაში შევიდა.

საბჭოთა კავშირის სტალინური კონსტიტუციის შემოღება ნიშნავს მობრუნებას ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. როგორც საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის თებერვლის პლენუმმა მიგვითითა, ეს მობრუნება ყველა ჩვენი ორგანიზაციებისაგან და უპირველეს ყოვლისა პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს საფუძვლიანად, სერიოზულად და მოფიქრებულად გარდაჰქმნან თავისი მუშაობა.

ჩვენი პარტიის ბელადის დიდი სტალინის მითითების, მზრუნველობისა და ყურადღების შედეგად საქართველოს ბოლშევიკებმა, ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილის ამხ. ლავრენტი ბერიას უშუალო ხელმძღვანელობით, წარსულში მრავალტანჯული საქართველოს მშრომელებს შეუქმნეს ბედნიერი და საამური ცხოვრება.

უმაღლესი ჯილდო ახალ ვითარებაში გვავალებს: ვიმუშაოთ უფრო უკეთ, მზრუნველობით გამოვზარდოთ სოციალიზმის ახალი კადრები, მივაღწიოთ ახალ-ახალ წარმატებებს.

დაე ცოცხლობდეს და კიდევ უფრო მტკიცდებოდეს მრავალერიან საბჭოთა კავშირის ხალხების ძმური კავშირი—საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი.

კიდევ უფრო შევმჭიდროვდეთ ლენინ-სტალინის პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო, დიდი სტალინის გარშემო, ბოლშევიკურად ვიბრძოლოთ სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე, სასახელოდ ვატაროთ უმაღლესი ჯილდო!

უფრო მაღლა ავსწიოთ რევოლუციური სიფხიზლის სტალინური დროშა, გავაცამტვეროთ სოციალიზმის, საბჭოთა ხალხის მტრები!

დადგენილება

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა

სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობისა და წარსული საქმიანობის მოტივებით სსრ კავშირის მოქალაქეებისათვის საარჩევნო უფლებების ჩამორთმევის საქმეთა წარმოებით მოსპობისა და სსრ კავშირის ცაკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის ლიკვიდაციის შესახებ.

სსრ კავშირის კონსტიტუციის 135 მუხლის შესაბამისად სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. ყველა საქმე სსრ კავშირის იმ მოქალაქეთა საარჩევნო უფლებებში აღდგენის შესახებ, რომელთაც ჩამორთმეული აქვთ ეს უფლებანი სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობისა და წარსული საქმიანობის მოტივებით, წარმოებით მოისპოს.

სსრ კავშირის ცაკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მუშაობა ჩაითვალოს დამთავრებულად და კომისია დაიშალოს.

2. მიღებულ იქნას ცნობად მოკავშირე რესპუბლიკათა ცაკების ინფორმაცია დასახელებული კომისიების ადგილებზე ლიკვიდაციის შესახებ.

3. მიენდოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს სამი თვის ვადაში შეიტანოს სსრ კავშირის ცაკის დასამტკიცებლად პროექტი დადგენილებისა სსრ კავშირის კანონმდებლობაში იმ ცვლილებათა შეტანის შესახებ, რომლებიც სსრ კავშირის კონსტიტუციის 135 მუხლიდან გამომდინარეობენ.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე მ. კალინინი.
სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
ი. აკულოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1937 წ. 14 მარტი

◇ ◇ ◇

სრულიად-აზერბეიჯანის საბჭოების საგანგებო IX ყრილობა დაიხურა

ბაქო, 14 მარტი (საქდესი). დღეს შესდგა სრულიად-აზერბეიჯანის საბჭოების საგანგებო IX ყრილობის საბოლოო სხდომა.

ყრილობამ მოისმინა და დაამტკიცა სამანდატო კომისიის მოხსენება.

შემდეგ მოხსენებით სარედაქციო კომისიის მუშაობისა და შესწორებათა და დამატებათა განხილვის შესახებ გამოვიდა ამხ. უს. რახმანოვი.

დელეგატები ერთხმად ღებულობენ ყოველ მუხლს. შემდეგ ყრილობა ერთხმად ამტკიცებს კონსტიტუციას მთლიანად.

ინფორმაციით ამიერ-კავკასიის ფედერაციის შესახებ გამოვიდა სსრ კავშირის ცაკის და ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. მუსაბეკოვი.

ყრილობამ ერთხმად დაადგინა სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-13 მუხლის შესაბამისად, რომელიც აწესებს საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის უშუალოდ შესვლას სსრ კავშირში, საჭიროდ ჩაითვალოს ა.-კ. სფს რესპუბლიკის და მისი ორგანოების ლიკვიდაცია, რომელთაც შეასრულეს თავისი ისტორიული დანიშნულება.

ბუხარინისა და რიკოვის ბრძოლა ლენინისა და პარტიის წინააღმდეგ

ისტორიული მიმოხილვა

I

პროლეტარიატის დიქტატურის საკითხში ბუხარინი ჯერ კიდევ რევოლუციამდე გამოდიოდა ლენინის წინააღმდეგ თავისი განსაკუთრებული ხაზით, რომელიც ნიშნავდა მარქსიზმთან კავშირის გაწყვეტას. 1916 წელს ჟურნალ „ინტერნაციონალ მოლოდეჟში" გამოქვეყნდა ბუხარინის სტატია (Nota Bene-ს ხელმოწერით), რომელიც მიმართული იყო ლენინის წინააღმდეგ. ამ სტატიაში ბუხარინი ატარებდა ნახევრად-ანარქისტულ შეხედულებას, რომ სოციალისტები პრინციპულად მტრულად უნდა ეპყრობოდნენ ყოველგვარ სახელმწიფოს. „სოციალ-დემოკრატიამ, რომელიც არის ან ყოველ შემთხვევაში უნდა იყოს მასების აღმზრდელი, ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, საჭიროა ხაზი გაუსვას თავის პრინციპულ მტრულ განწყობილებას სახელმწიფოსადმი", — სწერდა ბუხარინი. ხაზს უსვამდა რა პრინციპულ მტრულ განწყობილებას საზოგადოდ ყოველგვარი სახელმწიფოსადმი, ბუხარინი, ამრიგად პროლეტარიატის დიქტატურის უარყოფისაკენ ექანებოდა. იგი ჰქადაგებდა სახელმწიფოს „გაუქმების", „აფეთქების" ანარქისტულ თეორიას, ნაცვლად ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანის „დამსხვრევის" ლენინური თეორიისა.

აკრიტიკებდა რა ბუხარინის ნახევრად-ანარქისტულ შეხედულებებს, ლენინი სწერდა:

„ანარქისტებისაგან ჩვენ გვანსხვავებს (α) სახელმწიფოს გამოყენება **ახლა** და (β) პროლეტარიატის რევოლუციის დროს („პროლეტარიატის დიქტატურა") — პუნქტები, პრაქტიკისათვის მნიშვნელოვანი, მაშინვე. (სწორედ ეს პუნქტები **დაივიწყა** ბუხარინმა!") 1). ლენინი აღნიშნავდა, რომ ბუხარინმა „კაუტსკიანელთა გამომჟღავნების ნაცვლად, **დახმარება გაუწია** მათ თავისი შეცდომებით!!" 2).

ბუხარინი ჩვენი პარტიის ისტორიის მთელს მანძილზე ურევდა პოლიტიკურად და თეორიულად. აი რას სწერდა ლენინი მასზე ჯერ კიდევ 1916 წელს:

„იგი (1) ჭორებს ენდობა და (2) პოლიტიკაში მეტისმეტად მერყევია. ომმა ხელი ჰკრა მას ნახევრად-ანარქისტული იდეებისაკენ. თათბირზე, რომელმაც გამოიტანა ბერნის რეზოლუციები (1915 წ. გაზაფხული), მან მოგვცა **თეზისები** (მე მაქვს! — უაზრობაზე-უაზრობა; შერცხვენა; ნახევრად-ანარქიზმი") 3).

1925 წელს ბუხარინი კრებულში „რევოლუცია პრავა" ბეჭდავს სტატიას „იმპერიალისტური სახელმწიფოს თეორიისათვის". ეს სტატია თავის დროზე არ იქნა მიღებული ლენინის მიერ დასაბეჭდად „სბორნიკ სოციალ-დემოკრატაში". ბუხარინმა შესაძლებლად ჩასთვალა, ლენინის გარდაცვალების ერთი წლის შემდეგ, გამომძვრალიყო პრესაში პარტიის დიდი მასწავლებლის მიერ უარყოფილი სტატიით. უფრო მეტიც, მან სტატიას გაუკეთა მკრეხელური შენიშვნა, რომელშიაც ამტკიცებდა, რომ სახელმწიფოს შესახებ დავაში მართალი იყო იგი, ბუხარინი, და არა ლენინი.

ბრესტის ზავის პერიოდი (1918 წ. თებერვალი-მარტი), როდესაც ახალგაზრდა, განუმტკიცებელი, უიარაღო საბჭოთა რესპუბლიკა შეეჯახა გერმანიის თავით-ფეხამდე შეიარაღებულ იმპერიალიზმს, პროლეტარული რევოლუციის ერთერთი უძნელესი მომენტი იყო. ბრესტის ზავი იყო ლენინის გენიალური მანევრი, რომელმაც სულის ამოთქმის საშუალება მოგვცა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის, რევოლუციის შეიარაღებულ ძალთა ორგანიზაციისათვის. ბუხარინი და პიატაკოვი, რომლებიც სათავეში უდგნენ ეგრეთწოდებულ „მემარცხენე კომუნისტთა" ფრაქციას, მიისწრაფოდნენ ჩაეშალათ ეს ლენინური მანევრი. არსებითად ისინი თამაშობდნენ გამცემლურ როლს, ხელს ჰკრავდნენ რა საბჭოთა ხელისუფლებას დაღუპვისაკენ „რევოლუციური ომის" საბაბით, რაც აშკარად უიმედო იყო იმ პირობებში. მათ გამოჰქონდათ ნამდვილი შემზარავი, პროვოკაციული რეზოლუციები, რომლებშიაც ლაპარაკი იყო „მიზანშეწონილობაზე" იმის შესახებ, რომ... დავთანხმებულიყავით საბჭოთა ხელისუფლების დაკარგვაზე!

სწორედ სიტყვა-სიტყვით ასე იყო ჩაწერილი მოსკოვის საოლქო ბიუროს 1918 წლის 24 თებერვლის რეზოლუციაში:

„საერთაშორისო რევოლუციის ინტერესებისათვის ჩვენ მიზანშეწონილად ვთვლით წავიდეთ საბჭოთა ხელისუფლების შესაძლებელ დაკარგვაზე, ხელისუფლებისა, რომელიც ახლა წმინდა ფორმალური ხდება".

„მემარცხენე" კომუნისტები თავიანთი ავანტურისტული პოლიტიკით იმპერიალიზმს უადვილებდნენ მის ამოცანას — წაეღრჩოთ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა. ლენინი პირდაპირ აღნიშნავდა, რომ ზავის დადების წინააღმდეგ თავიანთი ბრძოლით „მემარცხენე" კომუნისტები „**საქმით დაეხმარნენ** გერმანიის იმპერიალისტებს და **ხელი შეუშალეს** რევოლუციის ზრდასა და განვითარებას გერმანიაში". 4)

„მემარცხენე" კომუნისტთა ბრძოლა ლენინის წინააღმდეგ ისეთ გააფთრებამდე მიდიოდა, რომ მემარცხენე ესერები მოლაპარაკებას აწარმოებდნენ ბუხარინთან და პიატაკოვთან პირდაპირი შეთქმულობის შესახებ ლენინის დაპატიმრებისა და „მემარცხენე" კომუნისტებისა და მემარცხენე ესერებისაგან მთავრობის შექმნის მიზნით. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ ლენინის ნაცვლად კონტრრევოლუციონერ შეთქმულებს სურდათ პიატაკოვი გაეხადათ. მემარცხენე ესერებთან ამ დანაშაულებრივი მოლაპარაკების ფაქტს თვით ბუხარინი აღიარებდა 1924 წელს. (იხ. 1924 წ. 3 იანვრის „პრავდა").

„მემარცხენე" კომუნისტები თავის ბრძოლას პარტიისა და ლენინის წინააღმდეგ ეწეოდნენ ფაქტიურად ბლოკით დაკავშირებულნი ტროცკისთან, რომელიც აგრეთვე დანაშაულებრივად შლიდა ზავის საქმეს. „მემარცხენე" კომუნისტებს შორის ცოტა როდი იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც შემდგომ პარტიის წინააღმდეგ გამოვიდნენ, როგორც ტროცკისტები (პიატაკოვი, რადეკი, პრეობრაჟენსკი და სხვ.). „მემარცხენე" კომუნისტები პარტიის წინააღმდეგ გააფთრებულ ბრძოლას ეწეოდნენ არა მარტო ბრესტის ზავის დადების საკითხში. ისინი გამოდიოდნენ აგრეთვე პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცების წინააღმდეგ, სოციალისტური მშენებლობის იმ პირველი ნაბიჯების წინააღმდეგ, რომლებსაც პარტია ლენინის ხელმძღვანელობით სდგამდა ზავის დადების შემდეგ.

„მემარცხენე" კომუნისტებს ლენინი ახასიათებდა როგორც „გაცოფებულ წვრილ ბურჟუებს". პროლეტარული დისციპლინისადმი მტრულად განწყობილ წვრილ მესაკუთრეთა სოციალური ბუნება თვალსაჩინოდ იხატებოდა ბუხარინისა და სხვა „მემარცხენეთა" გამოსვლებში ლენინის წინააღმდეგ სოციალისტური მეურნეობის ორგანიზაციის, შრომის დისციპლინის, ერთმმართველობის, შრომის სანარდო ხელფასის, აღრიცხვისა და კონტროლის საკითხებში და სხვ.

მე-7 და მე-8 პარტიულ ყრილობათა პერიოდში ბუხარინი პარტიისა და ლენინის წინააღმდეგ გამოდის ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხში, როგორიცაა პარტიის პროგრამა.

რაში მდგომარეობდა პარტიის პროგრამის შესახებ დავის დედაარსი? ბუხარინმა წინადადება შეიტანა პროგრამიდან ამოგდებულიყო საქონლო წარმოების, კრიზისების ანალიზი და იგი შეცვლილიყო „წმინდა იმპერიალიზმის" ანალიზით. ბუხარინი სთვლიდა, რომ „მოხსნილია" კაპიტალისტური წყობილების ძირითადი წინააღმდეგობანი (კონკურენცია, კრიზისები) იმპერიალიზმის ეპოქაში ცალკეული კაპიტალისტური ქვეყნების ფარგლებში. საკითხის ასე დაყენებაში ჩაქსოვილი იყო „ორგანიზებული კაპიტალიზმის" მემარჯვენე ოპორტუნისტული თეორიის საფუძვლები. ჯერ კიდევ 1917 წელს პროგრამის შესახებ დისკუსიაში ბუხარინი შემდეგსა სწერდა:

„წინანდელი დაქუცმაცებული და არაორგანიზებული კაპიტალიზმი იცვლება **ორგანიზებული კაპიტალიზმით**" (ჟურნალი „სპარტაკი" № 2, გვ. 6).

შემდგომ ბუხარინი პირდაპირ აღიარებდა მენშევიკურ თეზისს, რომ კაპიტალისტური ურთიერთობის ახალი ტიპი იმპერიალიზმის ეპოქაში სპობს კაპიტალისტური საზოგადოების წინააღმდეგობებს ერთი ქვეყნის ფარგლებში.

სტატიაში „კაპიტალიზმის დამსხვრევა" ბუხარინი აყენებს კითხვას: „სპობს თუ არა კაპიტალისტურ ურთიერთობათა ეს **ახალი** ტიპი კაპიტალისტური საზოგადოების წინააღმდეგობებს? სპობს თუ არა იგი უწინარეს ყოვლისა წარმოების თანამედროვე საშუალების **ანარქიას**?" და, სრულიად დაურცხვენლად, უპასუხებს: „თუ დავკმაყოფილდებით მხოლოდ სახელმწიფო ორგანიზაციის ფარგლებით, ე. ი. კაპიტალისტური სამშობლოს ფარგლებით, მაშინ ამ კითხვას შეიძლება დადებითად ვუპასუხოთ". (ჟურნალი „სპარტაკი" № 10, გვ. 6).

ილაშქრებდა რა „წმინდა იმპერიალიზმის" ბუხარინის თეორიის წინააღმდეგ, ლენინი პარტიის მე-8 ყრილობაზე ამბობდა:

„წმინდა იმპერიალიზმი კაპიტალიზმის ძირითადი ბაზის გარეშე არასოდეს არ არსებობდა, **არსად** არ არსებობს და არასოდეს არ იარსებებს. ეს არის არასწორი განზოგადება ყოველივე იმისა, რასაც ლაპარაკობდნენ სინდიკატებსა, კარტელებსა, ტრესტებსა და ფინანსიურ კაპიტალიზმზე, როდესაც ფინანსიურ კაპიტალიზმს გვიხატავდნენ ისე, თითქოს ძველი კაპიტალიზმის არავითარი საფუძვლები მას არ გააჩნია...

...პროგრამა რომ ისე დავწეროთ, როგორც ამხ. ბუხარინს სურდა, — ასეთი პროგრამა სწორი არ იქნება". 5)

„წმინდა იმპერიალიზმის" ანტილენინური თეორიიდან, რომელსაც ბუხარინი დაჟინებით იცავდა, წარმოიშვა ბუხარინის მემარჯვენე-ოპორტუნისტული თეორია „ორგანიზებული კაპიტალიზმისა", რომელმაც დაუნათესავა იგი მენშევიკურ II ინტერნაციონალს.

პროგრამის განხილვისას ბუხარინი გამოვიდა ლენინის წინააღმდეგ წვრილი გლეხური მეურნეობიდან კაპიტალისტური ელემენტების წარმოშობის საკითხშიც.

წვრილმესაკუთრული გლეხური მეურნეობიდან კაპიტალისტურ ელემენტთა ზრდის საფრთხის დაჟინებით უარყოფაში შეიძლება დავინახოთ ფესვები ბუხარინის მემარჯვენე ოპორტუნისტული თეორიისა „სოციალიზმში კულაკის მშვიდობიანად შეზრდის", მის მიერ გლეხობის სოციალისტურად გარდაქმნის აუცილებლობის უარყოფის შესახებ.

საჭიროა აღინიშნოს, რომ VII ყრილობაზე პროგრამის განხილვის დროს ბუხარინი წინადადებას იძლეოდა გამოგვეცხადებინა პროლეტარული სახელმწიფოს დაუყოვნებლივი კვდომა. ეს წინადადება დაკავშირებული იყო მის შეცდომებთან ომის პერიოდში, როდესაც იგი პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ გამოდიოდა. ილაშქრებდა რა ბუხარინის წინააღმდეგ, ლენინი ამბობდა:

„სახელმწიფოს კვდომის წინასწარ გამოცხადება ისტორიული პერსპექტივის დარღვევა იქნება". 6)

პარტიის VIII ყრილობაზე პროგრამის განხილვის დროს ბუხარინი გამოვიდა ლენინის წინააღმდეგ ნაციონალურ საკითხში.

ლენინმა და სტალინმა შეიმუშავეს ბოლშევიკთა პროგრამული შეხედულებანი ნაციონალურ საკითხზე, როგორც პროლეტარული რევოლუციის თეორიის ნაწილი. ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გარეშე შეუძლებელი იყო დიდი პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება, სოციალიზმის გამარჯვება საბჭოთა კავშირში.

ბუხარინი და პიატაკოვი ჯერ კიდევ ომის წლებში გამოვიდნენ ლენინის წინააღმდეგ, უარყოფდნენ რა ნაციონალური საკითხის მნიშვნელობას იმპერიალიზმის ეპოქაში. ამით ისინი ნამდვილად იზოლაციას და დამარცხებას უმზადებდნენ პროლეტარულ რევოლუციას, ხელს ჰკრავდნენ რა ჩაგრული ქვეყნების ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რეზერვებს, რევოლუციურ შესაძლებლობებს.

ბუხარინისა და პიატაკოვის შეხედულებებს ლენინი უწოდებდა „მარქსიზმის კარიკატურას".

პარტიის VIII ყრილობაზე ბუხარინმა განაცხადა, რომ ერთა თვითგამორკვევის უფლების ბოლშევიკური ლოზუნგი ვითომც ეწინააღმდეგება პროლეტარული დიქტატურის პრინციპებს.

1921 წელს ბუხარინი კვლავ გამოდის ლენინის წინააღმდეგ დისკუსიაში პროფკავშირთა შესახებ. ცნობილია, რომ ტროცკის მიერ დაწყებულმა ამ დისკუსიამ უდიდესი ზიანი მოგვიტანა, შექმნა პარტიის კრიზისი 1921 წლის დამდეგის უძნელეს პირობებში. ბუხარინმა თავდაპირველად იკისრა „ბუფერის" როლი დისკუსიაში, მაგრამ სინამდვილეში გამოდიოდა მხოლოდ ლენინის წინააღმდეგ, როგორც ტროცკის მოკავშირე. ბუხარინი გამცემლურად აღვივებდა დისკუსიას, ასხამდა რა მას, ლენინის გამოთქმით, „ბუფერულ ნავთს".

ბუხარინის თეზისებში კვლავ იჩინა თავი ანარქო-სინდიკალისტურმა მერყეობამ. ბუხარინმა, რომელიც უკვე დიდი ხანია დაშორდა ლენინს პროლეტარიატის დიქტატურის საკითხში, პროფკავშირულ დისკუსიაში იწყო სამეურნეო ორგანიზაციებისადმი პარტიის ხელმძღვანელი როლის უარყოფა. მან მოითხოვა, რომ პროფკავშირებმა დანიშნონ ეგრეთწოდებული „სავალდებულო" კანდიდატურები სათანადო სამეურნეო მთავარ კომიტეტებში ისე, რომ ეს კანდიდატურები არ იყვნენ დამტკიცებული პარტიის მიერ. ბუხარინი უარჰყოფდა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობას უპარტიო მუშებისადმი, ხანგრძლივ მუშაობას მშრომელი მასების განათლებისა და აღზრდისათვის (კომუნიზმის „სკოლა").

ბუხარინის პოზიციის შესახებ ლენინი სწერდა: „...**იდეურობის** ნგრევის მწვერვალს წარმოადგენენ ბუხარინისა და კომპანიის თეზისები... ეს არის კომუნიზმთან კავშირის სრული გაწყვეტა და სინდიკალიზმის პოზიციაზე გადასვლა". 7)

ლენინი აფრთხილებდა ბუხარინს, რომ პარტიის წინააღმდეგ ფრაქციული ბრძოლის ობიექტურ ლოგიკას და კომუნიზმიდან გადახვევების ჯიუტად დაცვას შეუძლიათ იგი ძალიან შორს წაიყვანონ:

„რაც უფრო მეტად დაიცავს... ბუხარინი თეორიულად აშკარად არასწორ და პოლიტიკურად მატყუარა გადახვევას კომუნიზმიდან, მით უფრო სამწუხარო იქნება ჯიუტობის ნაყოფი". 8)

1920 წელს ლენინი თავის შენიშვნებში მკაცრად აკრიტიკებდა ბუხარინის წიგნს „გარდამავალი პერიოდის ეკონომიკა", ამჟღავნებდა რა მასში მარქსისტული, დიალექტიკური მიდგომის უქონლობას, ბუხარინის ბოგდანოვურ სქოლასტიკას.

გარდაცვალების ცოტა ხნით ადრე ლენინმა კიდევ ერთი გაფრთხილება მისცა ბუხარინს. „...მისი თეორიული შეხედულებანი, — სწერდა ლენინი ბუხარინის შესახებ, — ძალიან დიდი ეჭვით შეიძლება მივაკუთვნოთ სავსებით მარქსისტულს, ვინაიდან მასში არის რაღაც სქოლასტიკური. (მას არასოდეს არ უსწავლია და, ვფიქრობ, არასოდეს არ ესმოდა სავსებით დიალექტიკა)".

მაგრამ ბუხარინმა არ დაუჯერა ლენინის ამ გაფრთხილებებს. მარქსიზმიდან, კომუნიზმიდან მისი ძველი გადახვევები გახდა მემარჯვენე კულაკური გადახვევის იდეოლოგიის საფუძველი.

○

მემარჯვენე გადახრის მეორე ლიდერსაც — რიკოვს არაერთხელ უწარმოებია ბრძოლა ლენინისა და პარტიის წინააღმდეგ. რეაქციის წლებში რიკოვს ეკავა შემარიგებელი პოზიცია ყველა ანტიპარტიული ჯგუფის — ლიკვიდატორების, ტროცკის, „ოტზოვისტების" მიმართ. რიკოვი კამენევთან, ზინოვიევთან, ტომსკისთან და სხვ. ერთად ხელს უშლიდა ლენინს ეწარმოებინა ბრძოლა ამ ანტიპარტიული ჯგუფების წინააღმდეგ, სხვა შემარიგებლებთან ერთად ღალატობდა ლენინს.

1917 წ. აპრილის კონფერენციაზე რიკოვი კამენევთან ერთად გამოვიდა ლენინის აპრილის თეზისების წინააღმდეგ, პარტიის მიერ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდაზე აღებული ხაზის წინააღმდეგ. რიკოვი აშკარად აცხადებდა, რომ რუსეთში სოციალისტური რევოლუცია შეუძლებელიაო. „საიდან ამოვა სოციალისტური გადატრიალების მზე? — კითხულობდა რიკოვი. — მე ვფიქრობ, — ამბობდა იგი, — რომ ყველა პირობის, ობივატელური დონის მიხედვით, **სოციალისტური გადატრიალების ინიციატივა გვეკუთვნის არა ჩვენ. ჩვენ არ მოგვეპოვება ძალები, ობიექტური პირობები ამისათვის**". (**რსდმპ (ბ)** მეშვიდე („აპრილის") სრულიადრუსეთისა და პეტროგრადის საერთო-საქალაქო კონფერენცია, პარტგამომცემლობა, 1934 წ., გვ. 93).

აპრილის კონფერენციაზე ლენინი რიკოვის შეხედულებებს ახასიათებდა, როგორც „მარქსიზმთან კავშირის გაწყვეტას", როგორც „მარქსიზმის პაროდიას".

რიკოვი აწარმოებდა ბრძოლას ლენინისა და პარტიის წინააღმდეგ ოქტომბრის აჯანყების დროს, იგი ოქტომბრის რევოლუციის წინააღმდეგი იყო. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ რიკოვი კამენევთან და ზინოვიევთან ერთად ცდილობს გადაიყვანოს პროლეტარიატის დიქტატურა ბურჟუაზიული დემოკრატიის რელსებზე. ეს ადამიანები, აფერხებენ რა რევოლუციურ მუშაობას, პარტიას უყენებენ ულტიმატუმს — შეყვანილ იქნან მთავრობაში მენშევიკები და მემარჯვენე ესერები, მოითხოვენ ხელისაღებას სოციალისტურ რევოლუციაზე. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1917 წლის 15 (2) ნოემბრის რეზოლუციაში, რომელიც ლენინმა დაწერა, დაჰგმო მათი დანაშაულებრივი მერყეობა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ **„ცენტრალური კომიტეტის შიგნით შექმნილი ოპოზიცია სავსებით შორდება ბოლშევიზმისა და საერთოდ პროლეტარული კლასობრივი ბრძოლის ყველა ძირითად პოზიციას, იმეორებს რა უაღრესად არამარქსისტულ უბადრუკ სიტყვებს სოციალისტური რევოლუციის შეუძლებლობაზე რუსეთში".** 9) 1917 წლის 17 (4) ნოემბერს რიკოვს შეაქვს განცხადება ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან და მთავრობიდან გასვლის, შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის პოსტიდან გადადგომის შესახებ. ლენინმა დაჰგმო რიკოვის ეს სამარცხვინო საქციელი, როგორც დეზერტირობა და შტრეიკბრეხერობა.

II

ბუხარინმა ვერ გამოიტანა გაკვეთილები ლენინის გაფრთხილებიდან, რომელსაც არაერთგზის გაუკრიტიკებია მკაცრად ბუხარინის გადახვევა მარქსიზმიდან. ლენინის გარდაცვალების შემდეგ ბუხარინი აწყობს ანტიპარტიულ უბადრუკ „სკოლას", რომელსაც „ზრდის" ლენინისადმი თავისთავის, ბუხარინის დაპირისპირებაზე. როგორც ახლა ირკვევა ამ უბადრუკი „სკოლის" ზოგიერთი მონაწილის აღიარებიდან, ბუხარინი პირდაპირ ეუბნებოდა ამ ადამიანებს, რომ ლენინთან დავაში იგი, ბუხარინი, მართალი იყო, ხოლო ლენინი სცდებოდა, რომ ლენინს შეეძლო დაემარცხებინა ბუხარინი მხოლოდ იმიტომ, რომ ამ უკანასკნელს არ ჰყავდა თავის კადრები.

როგორი „კადრების" შემოკრება დაიწყო თავის გარშემო ბუხარინმა? ამ ადამიანებს შორის, რომლებიც „ახალგაზრდობად" ითვლებოდნენ, საგრძნობმა ნაწილმა ჩვენს პარტიაში შესვლამდე მოასწრო კადეტებთან, ესერებთან და სხვ. ყოფნა. ამ ხალხს არასოდეს არაფერი საერთო არ ჰქონია მუშათა კლასთან, ისინი ორგანულად უცხონი იყვნენ ბოლშევიზმის ყველა ტრადიციისათვის.

ბუხარინი პირდაპირ ხრწნიდა თავის დამპალ „კადრებს", ეფარისევლებოდა მათ და შთააგონებდა, რომ მათ ხელმძღვანელი როლი უნდა ითამაშონ პარტიაში, როგორც „თეორეტიკოსებმა".

თავის მხრივ „მოწაფეები" ქებადიდებას ასხამდნენ ბუხარინს — ამ დაბნეულ კაცს, ეკლექტიკოსს, რომელსაც არაერთგზის სრულიად გაუწყვეტია კავშირი კომუნიზმთან. ასეთ განწყობილებას ასახავდა სწორედ მარეცკის ანტიპარტიული სტატია, რომელიც ამტკიცებდა, თითქოს ბუხარინი მართალი იყო ლენინთან დავაში სახელმწიფოს შესახებ.

სლეპკოვების, მარეცკების, კუზმინების ამ გახრწნილ წრეში მთელი რიგი წლების მანძილზე ყალიბდებოდა იდეოლოგია მემარჯვენე გადახრისა, რომლის საფუძველი გახდა ბუხარინის ძველი ანტილენინური შეცდომები ისეთ ძირითად საკითხებში, როგორიცაა პროლეტარიატის დიქტატურა.

ჯერ კიდევ იმ პერიოდში, როცა ბუხარინი პარტიასთან ერთად იბრძოდა ტროცკისტებისა და ზინოვიეველების წინააღმდეგ, მას თავისი განსაკუთრებული ხაზი ესახებოდა მთელ რიგ საკითხებში. არსებითად იგი იბრძოდა ტროცკისტთა წინააღმდეგ თავისი განსაკუთრებული პოზიციებიდან. ასე დაემართა ლოზუნგს „გამდიდრდით", რომელიც პარტიამ დაჰგმო, და სოციალიზმში კაპიტალისტების „შეზრდის" თეორიას. ასე დაემართა ბუხარინის მტკიცებას პარტიის მე-XIV ყრილობაზე, სადაც იგი ამბობდა, რომ სოციალიზმისაკენ ჩვენ ვითომც „კუს ნაბიჯებით წავჩანჩალდებით".

რეკონსტრუქციულ პერიოდზე გადასვლით კლასობრივი ბრძოლა ჩვენს ქვეყანაში მწვავდება, ძლიერდება კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგობა სოციალისტური შეტევისადმი. მჟღავნდება კაპიტალისტურ გარემოცვასთან დაკავშირებული ბურჟუაზიული სპეციალისტების მავნებლური საქმიანობა (შახტის საქმე). კულაკობა აქტიურად ეწინააღმდეგება პურის დამზადებათა ჩატარებას.

სწორედ ამ პერიოდში მემარჯვენე ოპორტუნისტები ყალიბდებიან ანტიპარტიულ ფრაქციად და გააფთრებული იერიშები მიაქვთ პარტიაზე.

ცენტრალური კომიტეტის ივლისის (1928 წ.) პლენუმის პერიოდში მემარჯვენენი ჩამოყალიბდნენ დამთავრებულ ანტიპარტიულ ფრაქციად თავისი ცენტრით, რომელშიაც შედიოდნენ ბუხარინი, რიკოვი, ტომსკი.

ამ ცენტრის ხელმძღვანელობით ჩაღდება მემარჯვენეთა ფრაქციული საქმიანობა მოსკოვის ორგანიზაციაში. ერთი მუჭა მემარჯვენე ოპორტუნისტები (უგლანოვი, კოტოვი, კულიკოვი, რიუტინი და სხვა), რომლებიც უფრო გვიან პირწავარდნილი კონტრრევოლუციონერები გახდნენ, ცდილობდნენ რაიონული პარტორგანიზაციები პარტიის წინააღმდეგ აემხედრებინათ, მაგრამ ისინი განადგურებულ იქნენ. ტომსკი საზიზღარ ანტიპარტიულ საქმიანობას ანვითარებს პროფკავშირული აპარატის ბიუროკრატიულ ელემენტებს შორის, ზრდის რა მათგან პარტიისა და ხალხის მტრებს.

1928 წლის შემოდგომაზე ბუხარინი პრესაში გამოდის „ეკონომისტის შენიშვნებით", რომლებიც მიმართული იყვნენ იმ ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის ჩასაშლელად, რასაც პარტია ანხორციელებდა.

რეკონსტრუქციული პერიოდის პირობებში, როდესაც მიმდინარეობდა „უკანასკნელი და გადამწყვეტი ბრძოლა" შინაური კაპიტალიზმის წინააღმდეგ, რომელიც წარმოიშვა წვრილი გლეხური მეურნეობიდან, როდესაც დაიწყო კაპიტალიზმის თვით ფესვების ამოფხვრა, როდესაც კლასობრივი ბრძოლა ჩვენს ქვეყანაში გამწვავდა, მემარჯვენენი აქტიური გახდნენ და გამოვიდნენ როგორც კულაკობის პირდაპირი აგენტურა. მემარჯვენე ელემენტები პარტიაში გამოდიოდნენ კულაკობის ისეთ კონტრრევოლუციონერ იდეოლოგებთან ერთად, როგორიც იყვნენ კონდრატიევი, ჩაიანოვი და სხვ. მემარჯვენეებს თანაუგრძნობდნენ მავნებლები პრომპარტიიდან (რამზინი და სხვ.).

მემარჯვენეთა ხაზი ჩვენი ქვეყნის ჩამორჩენილობის შენარჩუნებისაკენ, კოლექტივიზაციის უარყოფისაკენ, კულაკობის შენარჩუნებისაკენ, ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის უარყოფისაკენ იწვევდა კაპიტალისტური ელემენტების გაძლიერებას, კაპიტალიზმის რესტავრაციას. მემარჯვენეთა პოლიტიკა პარტიას აშკარად ერეკებოდა ხაფანგისაკენ, უდიდეს საფრთხეებს გვიქადდა როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო პოლიტიკის თვალსაზრისითაც.

პარტიაში რომ მემარჯვენეთა გადახრის ხაზს, ჩვენი ქვეყნის ჩამორჩენილობის შენარჩუნების ხაზს გაემარჯვნა, ჩვენ, უეჭველად, ჩინეთის ბედი გვემუქრებოდა. საბჭოთა კავშირი ადვილად გახდებოდა იმპერიალისტ ყაჩაღთა ნადავლი, ფაშიზმის ნადავლი — მაგრამ ლენინ-სტალინის პარტიამ გაანადგურა მემარჯვენე გადახრა. ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყანა ჩამორჩენილი ქვეყნიდან გადაიქცა მოწინავე ინდუსტრიულ სახელმწიფოდ, სოციალიზმის მიუვალ ციხე-სიმაგრედ, რომელსაც მტრის ვერავითარი თავდასხმა ვერ აშინებს.

მემარჯვენე გადახრის განადგურების საქმეში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობდა საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აპრილის (1929 წ.) პლენუმი. 1929 წლის დამდეგს გამომჟღავნებულ იქნა ბუხარინის ფრაქციული მოლაპარაკება ტროცკისტებთან, რაც ხდებოდა 1928 წ. ივლისში. ამ საკითხის განხილვის დროს მემარჯვენეთა ლიდერები გამოდიან საზიზღარი ფრაქციული „დეკლარაციით", რომელიც აღსავსე იყო კადეტთა ლიდერის მილიუკოვის არსენალიდან გამოტანილი გაუგონარი, ცილისმწამებლური გალაშქრებით პარტიის წინააღმდეგ.

ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმზე მემარჯვენენი კვლავ გამოვიდნენ თავისი პლატფორმით, რომელიც მიმართული იყო სოციალისტური მშენებლობის წინააღმდეგ. ხუთწლიანი გეგმის წინააღმდეგ რიკოვმა წამოაყენა ოპორტუნისტული „ორწლედი" იმ მიზნით, რათა სახელი გაეტეხა და ჩაეშალა ხუთწლედის გატარება, ჩაეშალა ასიგნობანი ინდუსტრიალიზაციის საქმისათვის. მემარჯვენენი გამოვიდნენ სოფელთან კავშირის ახალი საწარმოო ფორმის წინააღმდეგ, ისინი წინადადებას იძლეოდნენ მთლიანად აგვეშვა საბაზრო სტიქია „ბაზრის ნორმალიზაციის" სახით, წინადადებას იძლეოდნენ სრული თავისუფლება მიგვეცა კულაკის განვითარებისათვის სოფლად და კერძო ვაჭრის განვითარებისათვის ქალაქად.

ამხანაგ სტალინის სიტყვას „მემარჯვენე გადახრის შესახებ საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბ)", რომელიც მან წარმოსთქვა ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმზე, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მან დაასრულა მემარჯვენე გადახრის იდეური განადგურება, ბოლომდე გამოამჟღავნა მემარჯვენე ოპორტუნისტების შეხედულებათა სისტემის ანტილენინური ხასიათი.

ბუხარინის მიერ კლასობრივი ბრძოლის მარქსისტულ-ლენინურ თეორიასთან სრული კავშირის გაწყვეტა გახდა მემარჯვენე გადახრის შეხედულებათა საფუძველი.

„კლასების მოსპობა **პროლეტარიატის გააფთრებული კლასობრივი ბრძოლის გზით**, — ასეთია ლენინის ფორმულა.

კლასების მოსპობა **კლასობრივი ბრძოლის ჩქრობისა და სოციალიზმში კაპიტალისტების შეზრდის გზით**, — ასეთია ამხ. ბუხარინის ფორმულა...

ამაშია ამხ. ბუხარინისა და მისი მეგობრების ყველა შეცდომის საფუძველი", — აღნიშნავდა ამხანაგი სტალინი. 10)

ამხანაგმა სტალინმა გვიჩვენა, რომ ბუხარინის დაჯგუფების პოლიტიკური არსი მდგომარეობს სოციალისტური მშენებლობის დაშლაში, კაპიტალისტური ელემენტებისათვის პოზიციების დათმობაში, ესე იგი, რევოლუციის გაცემაში.

„ესმის თუ არა ამხ. ბუხარინის ჯგუფს, რომ მემარჯვენე გადახრასთან ბრძოლაზე ხელის აღება ნიშნავს მუშათა კლასის **გაცემას**, რევოლუციის **გაცემას**". — ასე ამთავრებდა ამხანაგი სტალინი თავის სიტყვას მემარჯვენე გადახრის შესახებ. 11)

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა სპეციალურ რეზოლუციაში დაჰგმო ბუხარინის, რიკოვის, ტომსკის მემარჯვენე — ოპორტუნისტული, ფრაქციული საქმიანობა და გააფრთხილა ისინი, თუ საითკენ ვითარდება ეს ანტიპარტიული ხაზი.

პარტიის მე-16 ყრილობამ თავის გადაწყვეტილებაში საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო მიუთითა, რომ „მემარჯვენე უკლონისტების ხაზის განხორციელება, რომლებიც ობიექტურად წარმოადგენენ კულაკობის აგენტურას, მოასწავებს სოციალიზმის მშენებლობის ჩაშლას და კაპიტალიზმის აღდგენას ჩვენს ქვეყანაში". ყრილობამ გამოაცხადა, რომ მემარჯვენე ოპოზიციის შეხედულებანი შეუთავსებელია საკ. კ.პ. (ბ) წევრობასთან.

III

მრავალი წლის განმავლობაში, სულ უკანასკნელ დრომდე საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მემარჯვენეებს აძლევდა შესაძლებლობას გამოესწორებინათ და გამოესყიდათ თავისი ცოდვები პარტიის წინაშე. მემარჯვენეთა ლიდერებს, ტროცკისტებისაგან განსხვავებით, არ რიცხავდნენ პარტიიდან, რამდენადაც მათ განაცხადეს, რომ ხელს იღებენ თავის ანტილენინურ, ანტიპარტიულ შეხედულებებზე. მაგრამ თავისი შეცდომების ფორმალური აღიარების შემდეგ 1929-30 წ. წ. მემარჯვენეებმა იწყეს თვალთმაქცობის, პარტიის ყოვლად საზიზღარი მოტყუების სისტემის გამოყენება და გადავიდნენ ბრძოლის ანტისაბჭოთა მეთოდებსა, ხერხებსა და შეხედულებებზე.

მემარჯვენე გადახრის განვითარებაში ამ უკანასკნელი ეტაპის დამახასიათებელ დოკუმენტს წარმოადგენს ეგრეთწოდებული რიუტინ-სლეპკოვის ჯგუფის კონტრრევოლუციური პლატფორმა. ბუხარინელთა ეს დაჯგუფება მჭიდროდ იყო დაკავშირებული ტროცკისტებთან და ზინოვიეველებთან, მათს რიცხვში კამენევთან და ზინოვიევთან, და პირდაპირ აყენებდა თავის პლატფორმაში სსრ კავშირში კაპიტალიზმის აღდგენის ამოცანას. როგორც ახლა გამოირკვა, ეს პლატფორმა მოიწონეს მემარჯვენეთა ლიდერებმა. საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის 1932 წლის 9 ოქტომბრის დადგენილებაში ნათქვამი იყო, რომ კომუნიზმისა და საბჭოთა ხელისუფლების მტრების, პარტიისა და მუშათა კლასის გამცემლების ამ ჯგუფმა არალეგალური გზით შექმნა **„ბურჟუაზიული, კულაკური ორგანიზაცია კაპიტალიზმისა და, კერძოდ, კულაკობის აღსადგენად საბჭოთა კავშირში".** 12)

1928 წლის ივლისში ბუხარინი კამენევთან გამცემლურ, უსინდისო მოლაპარაკებას აწარმოებდა ტროცკისტებთან ბლოკის შესახებ. 1932 წელს ეგრეთწოდებულ რიუტინ-სლეპკოვის ჯგუფის საქმის გამო, რომელსაც, როგორც უფრო გვიან გამოირკვა, მეთაურობდნენ მემარჯვენე გადახრის ლიდერები, ირკვევა მემარჯვენეთა კავშირი ხალხის უბოროტეს მტრებთან — ტროცკისტებთან, კამენევთან და ზინოვიევთან. 1936 და 1937 წელს გაერთიანებული ტროცკისტ-ზინოვიეველების ანტისაბჭოთა ცენტრის მონაწილეებმა და ტროცკისტთა „პარალელური" ანტისაბჭოთა ცენტრის მონაწილეებმა სასამართლოში განაცხადეს, რომ მათ კონტრრევოლუციური კავშირი ჰქონდათ და მოლაპარაკებას აწარმოებდნენ მემარჯვენეებთან. ბრალდებულნი ამტკიცებდნენ, რომ მემარჯვენეებმა იცოდნენ, კაპიტალის დაქირავებულთა ტროცკისტ-ზინოვიევურ ფაშისტთა ბანდების გადასვლა ტერორის, შპიონაჟის, დივერსიების, მავნებლობის მეთოდებზე, რომ მემარჯვენენი იზიარებდნენ კაპიტალიზმის რესტავრაციის მოღალატურ პლატფორმას.

ასე იჭიმება მემარჯვენე თვალთმაქცთა და გამცემთა უმძიმესი, შემაძრწუნებელი ღალატის სამარცხვინო ჯაჭვი, ჯაჭვი მათი „ბლოკებისა" ხალხის უბოროტეს მტრებთან — ტროცკისტებთან და ზინოვიეველებთან.

ტროცკისტები უკვე დიდი ხანია აღარ წარმოადგენენ პოლიტიკურ მიმდინარეობას მუშათა კლასის რიგებში. თავის დროზე ამ მენშევიკურ მიმდინარეობას ერთგვარი ფესვები ჰქონდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში, კაპიტალისტური ელემენტების არსებობასთან დაკავშირებით. ახლა ტროცკიზმის ფესვები ჩვენს ქვეყანაში კი არ არის, არამედ კაპიტალისტურ გარემოცვაშია, თვით ტროცკიზმი კი პოლიტიკური მიმდინარეობიდან გადაიქცა ფაშიზმის დაქირავებულთა გაშმაგებულ, ყაჩაღურ ბანდად, პირსისხლიან მკვლელთა, მავნებელთა, ჯაშუშთა და დივერსანტთა ბანდად, რომლებიც ვერ ჰბედავენ თავისი პროგრამის შესახებ აშკარად ლაპარაკს უახლოეს თანამზრახველებთანაც კი.

რაც შეეხება მემარჯვენეებს, ისინიც აგრეთვე აღარ წარმოადგენენ პოლიტიკურ მიმდინარეობას, ისინიც აგრეთვე გადაიქცნენ გაშმაგებულ ბანდად ხალხის მტრებისა, რომლებიც შეურიგებელი მტრები არიან მარქსიზმ-ლენინიზმისა და მზად არიან ყველა და ყოველგვარი დანაშაულობისათვის ჩვენი სამშობლოს წინააღმდეგ.

მემარჯვენეებსაც, როგორც პოლიტიკურ მიმდინარეობას, ახლა უკვე აღარა აქვთ ფესვები ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში, ვინაიდან ლიკვიდირებული არიან კაპიტალისტური ელემენტები, რომლებიც მათ ასაზრდოებდნენ, პირველ რიგში კულაკობა. კაპიტალისტურ ელემენტთა ნაშთები ჩვენს ქვეყანაში, რომლებიც კიდევ არიან და ბოგინობენ, გალვანიზდებიან კაპიტალისტური გარემოცვით, ასაზრდოებენ და მომავალშიაც ასაზრდოებენ მემარჯვენეებსა და ტროცკისტებს არა როგორც პოლიტიკურ მიმდინარეობას, არამედ როგორც ფაშისტ არამზადათა ბანდას.

ტროცკიზმისა და მემარჯვენეების ეს ევოლუცია პოლიტიკური მიმდინარეობიდან დამნაშავეთა ბანდისაკენ, საერთაშორისო კაპიტალის დაქირავებულთა ბანდისაკენ, მტკიცედ უნდა შევისწავლოთ, რათა შევძლოთ მტრის გამოცნობა და დროზე დარტყმა.

პ. პოსპელოვი

„პრავდა", 18 მარტი.

---

1) ლენინის კრებული, ტ. მე-14, გვ. 257 რუსულ ენაზე.

2) იქვე, გვ. 259.

3) ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, ტ. მე-29, გვ. 229—230. რუს. გამოცემა.

4) ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, ტ. მე-22, გვ. 307. რუსული გამოცემა.

5) ვ. ი. ლენინი. თხზულებანი. ტ. მე-24, გვ. 131—132. რუსული გამოცემა.

6) ვ. ი. ლენინი, თხზულებანი ტ. 24, გვ. 365 რუს. გამოცემა.

7) ი. ვ. ლენინი, თხზულებანი ტ. მე-26 გვ. 92, რუსული გამოცემა.

8) იქვე. გვ. 145.

9) ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. მე-30. გვ. 360, რუსული გამოცემა.

10) ი. სტალინი. ლენინიზმის საკითხები, გვ. 303 ქართული გამოცემა.

11) ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, გვ. 341. ქართული გამოცემა.

12) „საკ. კ. პ. (ბ) რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში". ნაწილი II, გვ. 669 პარტგამომცემლობა, 1936 წ. რუსულ ენაზე.

○ ○

„პრავდის" რედაქციისაგან

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც ამასწინათ დამთავრდა, როგორც ვიცით, განიხილა საკითხი ბუხარინისა და რიკოვის ანტიპარტიული საქმიანობის შესახებ და დაადგინა გარიცხოს ისინი საკ. კ. პ. (ბ) რიგებიდან. იმ მიზნით, რათა კომუნისტები, განსაკუთრებით ახალგაზრდა კომუნისტები, გაეცნონ ლენინისა და პარტიის წინააღმდეგ ბუხარინისა და რიკოვის ბრძოლის ძირითად ფაქტებს, რედაქცია ათავსებს ამ ისტორიულ მიმოხილვას.

მშვიდობიანობისა და სსრ კავშირთან მეგობრობის კონგრესი

ლონდონი, 13 მარტი (საქდესა). დღეს ლონდონში გაიხსნა მშვიდობიანობისა და სსრ კავშირთან მეგობრობის მეორე კონგრესი. კონგრესს ესწრება ათასზე მეტი დელეგატი, რომლებიც წარმოადგენენ ინგლისის სხვადასხვა პოლიტიკური, საზოგადოებრივი და კულტურული ორგანიზაციების ორ მილიონ წევრს. კონგრესის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი კითხვები: 1) ახალი საბჭოთა კონსტიტუცია, 2) საბჭოთა კავშირის მშვიდობიანობის პოლიტიკა, 3) სსრ კავშირის კულტურული განვითარება, 4) საბჭოთა გეგმიანი მეურნეობა.

კონგრესის მოსამზადებლად შექმნილი იყო სპეციალური საორგანიზაციო კომიტეტი, რომელშიაც შევიდნენ კონსერვატორები, ლეიბორისტები, ლიბერალები, უნივერსიტეტთა წარმომადგენელნი და სხვ. საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეა ლორდი ლისტოუელი.

კონგრესმა მიიღო დიდძალი მისალმებანი, მათ შორის რომენ როლანისა და სხვა პირებისაგან.

პირველ სხდომაზე განიხილეს ახალი საბჭოთა კონსტიტუციის საკითხი. ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ლონდონში ამხ. მაისკი.

კამათში პარლამენტის წევრმა ლიბერალმა დინგლ ფუტმა განაცხადა, რომ ახალი საბჭოთა კონსტიტუცია უდიდეს ნაბიჯს წარმოადგენს იმასთან შედარებით, რანაირიც კი ოდესმე რუსეთს სცნობია: „ჩვენ ინგლისში, — განაგრძობს ფუტი, — უნდა მივესალმოთ სიტყვის თავისუფლების გარანტიას, აგრეთვე პიროვნებისა და ბინის ხელშეუხლებლობას".

ლორდ ლისტოუელმა აღნიშნა, რომ ახალი საბჭოთა კონსტიტუცია — მსოფლიოში ერთადერთი კონსტიტუციაა, რომელიც უზრუნველჰყოფს სრულ ეკონომიურ და პოლიტიკურ თავისუფლებას (ამ განცხადებას მქუხარე ტაშით შეხვდნენ).

„იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ლიგის" დელეგატმა ბრადლიმ ხაზგასმით აღნიშნა ეროვნებათა თანასწორუფლებიანობის უდიდესი მნიშვნელობა საბჭოთა კავშირში.

საღამოს სხდომაზე გამოვიდა კონსერვატორი, პარლამენტის წევრი ადამსი, რომელმაც განაცხადა, რომ სსრ კავშირსა და ინგლისს აქვთ ბევრი საერთო ინტერესები, რომლებს შორის უმნიშვნელოვანესია ბრძოლა მშვიდობიანობისათვის. „ორივე ქვეყანას, — განაგრძობდა ადამსი, — ემუქრება ერთიდაიგივე ექსპანსიონისტური სახელმწიფო ცენტრალურ ევროპაში. მას შემდეგ, რაც სსრ კავშირი ერთა ლიგაში შევიდა, იგი გვიჩვენებს ერთა ლიგის პრინციპებისადმი ერთგულების მაგალითს" (ტაში).

◇ ◇ ◇

საბჭოთა პიანისტების გამარჯვება შოპენის სახელობის საერთაშორისო კონკურსზე

ვარშავა, 13 მარტი (საქდესა). პიანისტთა შოპენის სახელობის მესამე საერთაშორისო კონკურსი დამთავრდა საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების სრული გამარჯვებით. პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის პირველი ჯილდო 5 ათასი ზლოტის რაოდენობით და დამატებითი ჯილდო — დაფნის გვირგვინი ბრინჯაოდან მიესაჯა საბჭოთა პიანისტს იაკობ ზაკს; განათლების მინისტრის მეორე ჯილდო — 2.500 ზლოტი — საბჭოთა პიანისტ-ქალს როზა ტამარკინას; საგარეო საქმეთა მინისტრის მესამე ჯილდო (2.500 ზლოტი) — პოლონეთის პიანისტ მალცუჟინსკის; ქალაქ ვარშავის პრეზიდენტის მეოთხე ჯილდო (2.000 ზლოტი) — ინგლისის პიანისტ დესორს; ვარშავის ფილარმონიის მეხუთე ჯილდო (2.000 ზლოტი) — უნგრეთის პიანისტ-ქალს იამბორს; ვარშავის მუსიკალური ამხანაგობის მეექვსე ჯილდო (1.000 ზლოტი) — გერმანიის პიანისტ-ქალს ბუსენფელდს; მეშვიდე ჯილდო (1.000 ზლოტი) —საფრანგეთის პიანისტ-ქალს ბრიშორელის; მერვე ჯილდო (500 ზლოტი) —მუსიკალური საზოგადოებრივობისაგან—პოლონეთის პიანისტ ეკერს; მე-9 ჯილდო (500 ზლოტი) მუსიკალური საზოგადოებრივობისაგან — საბჭოთა პიანისტ-ქალს ტატიანა გოლდფარბს; მეათე ჯილდო (500 ზლოტი) მუსიკალური საზოგადოებრივობისაგან— პოლონეთის პიანისტ-ქალს ილივიცკაიას; მეთერთმეტე ჯილდო (500 ზლოტი) მუსიკალური საზოგადოებრივობისაგან — საფრანგეთის პიანისტს მაიარ-ვერჟეს.

პიანისტმა ნინო ემელიანოვამ (სსრკ) მიიღო საპატიო დიპლომი.

კონკურსის ჟიურიმ იაკობ ზაკს მაზურკის საუკეთესოდ შესრულებისათვის მიუსაჯა კიდევ ერთი სპეციალური პრემია — ვერცხლისაგან ჩამოსხმული შოპენის ნიღაბი.

კონკურსის საბჭოელ გამარჯვებულებს — ზაკსსა და ტამარკინას— ორათასიანმა აუდიტორიამ გაუმართა ხანგრძლივი აღფრთოვანებული ოვაცია.

◇ ◇ ◇

სრულიად დამსახურებული წარმატება

როგორც ცნობილია, პრემიების განსაზღვრა ხდებოდა იმ ქულათა რაოდენობის მიხედვით, რომლებსაც თვითეული ცალკეული ნაწარმოების შესრულებისათვის მიუსჯიდნენ. იაკობ ზაკს საერთოდ მიესაჯა 1.411 ქულა. მან 23 ქულით გაუსწრო როზა ტამარკინას. პიანისტ მალცუჟინსკის (პოლონეთი), რომელმაც მესამე ადგილი დაიკავა როზა ტამარკინაზე 2 ქულით ნაკლება ჰქონდა. სხვათა შორის ქულათა რაოდენობის განსხვავება კონკურსის ლაურეატს იაკობ ზაკსა და ფრანგ მაიარს შორის, რომელმაც მეთერთმეტე ადგილი დაიკავა, უდრის მხოლოდ 150-ს. საბჭოთა პიანისტებმა პირველი ადგილები მოიპოვეს, მიუხედავად იმისა, რომ მათ მთელი რიგი უძლიერესი კონკურენტები ჰყავდათ.

იაკობ ზაკი — ერთერთი ყველაზე შესანიშნავი პიანისტია, როგორიც კი მე მთელი ჩემი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში მომისმენია. სრულიად უდავოა, რომ იგი წარმოადგენს უდიდეს მუსიკალურ ფიგურას.

როზა ტამარკინა — კოლოსალური ტალანტია. მას უდიდესი მომავალი აქვს.

პროფ. ადამ ვეინიავსკი.

შოპენის სახელობის საერთაშორისო კონკურსის ჟიურის თავმჯდომარე.
(ტელეფონით ვარშავიდან).

◇

ამხ. მ. ლ. გრანოვსკის სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისრის პირველ მოადგილედ დამტკიცების შესახებ

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილება

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს ამხ. მოსე ლაზარეს-ძე გრანოვსკი სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისრის პირველ მოადგილედ.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე **მ. კალინინი.**

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
მდივანი **ი. აკულოვი.**

მოსკოვი, კრემლი
1937 წ. 13 მარტი

კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა სოფლად

ა. გ ა ბ ი ს ო ნ ი ა

განსახკომის კულტურის სახლებისა და საკოლმეურნეო კლუბების სამმართველოს უფროსი.

ყველა დროისა და ეპოქის უდიდესმა დოკუმენტმა — დიადმა სტალინურმა კონსტიტუციამ გენიალურად ასახა და შეაჯამა სოციალიზმის მშენებლობის ყველა ფრონტზე შეუპოვარი ბრძოლებით მოპოვებული გრანდიოზული გამარჯვებანი.

გიგანტურად გაიზარდა საბჭოთა სოფელი და საბჭოთა გლეხობა არა მარტო მატერიალურად, არამედ კულტურულადაც.

„საბჭოთა გლეხობა — ეს სრულიად ახალი გლეხობაა, რომლის მსგავსი კაცობრიობის ისტორიას ჯერ კიდევ არ სცოდნია" (სტალინი).

საბჭოთა საქართველოს გლეხობის მზარდ კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საქმეს დანარჩენ დაწესებულებებთან ერთად ემსახურება სოფლის 1127 საკლუბო დაწესებულება: 825 სამკითხველო, 245 საკოლმეურნეო და სასოფლო კლუბი, 57 კულტურის სახლი და სარაიონო კლუბი.

სოფლის საკლუბო დაწესებულებათა მნიშვნელობა რაიონის ბევრ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციას კარგად აქვს შეგნებული და სათანადო დახმარებასაც უწევენ მათ.

მაგალ., ბორჯომის რაიონში ხელმძღვანელი ამხანაგები იშვიათის მზრუნველობით ეკიდებიან საკლუბო დაწესებულებათა მუშაობას, ყოველმხრივ ეხმარებიან მათ.

ამით აიხსნება, რომ ბორჯომში არსებობს კულტურის სახლი, რომლის მუშაობაც სანიმუშოდ შეიძლება ჩაითვალოს. ამავე რაიონის სოფ. წაღვერის საკოლმეურნეო კლუბს შენობაც კარგი აქვს და მასობრივი კულტსაგანმანათლებლო საქმიანობაც კარგად აქვს დაყენებული. ეწყობა ლექცია — საუბრები, ჩამოყალიბებულია წრეები, კარგადაა დაყენებული საბიბლიოთეკო მუშაობა.

სოფ. ორსანტიის (ზუგდიდის რაიონი) კოლმეურნეებმა 1936 წელს თავისი ხარჯით ააგეს საკლუბო შენობა, რომელშიაც თვალსაჩინო კულტურული მუშაობა სწარმოებს. ახლა ამ შენობითაც აღარ კმაყოფილდებიან და განზრახული აქვთ უფრო დიდი შენობის აგება.

კლუბის ახალი შენობები ააგეს ქუთაისის, სიღნაღის და ლაგოდეხის მთელ რიგ სოფლებში.

მაგრამ დღეს კოლმეურნეები როდი კმაყოფილდებიან მარტო საკლუბო დაწესებულებათა შენობების აგებით. ხშირად მათი მონაწილეობა და თაოსნობა მოსჩანს კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობისა და ცხოვრების ყველა დარგში. მაგალითად, სოფ. ლესას (ლანჩხუთის რაიონი) კოლმეურნეთა თაოსნობით დაწყებულია ადგილობრივ კლუბის ეზოს გამშვენიერება ციტრუსოვან კულტურათა ხეივნებით. ამავე სოფლის კოლმეურნეების: ამხ. გუჯაბიძის, სარჯველაძის, ვ. კუნჭულიას, მოქიას, ანდღულაძის, ძ. კუნჭულიას, გოგუაძის და სხვების თაოსნობით ადგილობრივი კლუბის ბიბლიოთეკას 1900 ცალი ახალი წიგნი შეემატა. ამან გამოიწვია მკითხველთა ზრდა, გააძლიერა წიგნისადმი ინტერესი. ამის შემდეგ კოლმეურნეებმა თავისთვის შეიძინეს 3500 მანეთის სხვადასხვა წიგნი.

ამ მოწინავეთა გვერდით, სამწუხაროდ, დღემდის კიდევ არიან ისეთი რაიონები და სოფლის საბჭოები, სადაც სოფლის კულტგანმანათლებელ დაწესებულებათა მნიშვნელობა კარგად ვერ შეუგნიათ. ამის გამო სრულებით მოუგვარებელია საკლუბო დაწესებულებათა ბინების საკითხი, ბიუჯეტით კუთვნილი თანხების ათვისება, ვხვდებით ხელფასის დავალიანებას, კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკების ხშირ ცვლას.

გურჯაანის რაიონში ბინების ჩამორთმევის გამო 1936 წლის განმავლობაში დაიხურა სამი სამკითხველო (ჩალაუბნის, კალაურისა და შიბლიანის). უბინობის გამო სამკითხველო არ გახსნეს დუზაგრამაში, იორმუღანლოსა და ლამბალოში. ამ რაიონში ბიუჯეტით გათვალისწინებულ 20 სამკითხველოს ნაცვლად მხოლოდ 14 მუშაობდა.

ასეთივე მდგომარეობაა ზოგიერთ სხვა რაიონშიც. მაგალითად, გორის რაიონის სოფ. ტყვიავის საკოლმეურნეო კლუბს შენობა ჩამოართვეს და საწყობად გადააქციეს.

წულუკიძის რაიონის სოფ. დედალაურსა და გუბში სამკითხველოებს ბინები ჩამოართვეს და სხვა დაწესებულებებს გადასცეს. საბუეს (ყვარლის რაიონი) სოფლის საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა მაისურაძემ სამკითხველოს ნივთები გარეთ გამოჰყარა და „განთავისუფლებულ" შენობაში კოლმეურნეობის კანტორა გამართა. ბაშკიჩეთის რაიონის სოფელ ამამლოს სამკითხველოს შენობა სოფლის საბჭომ დაიკავა, ხოლო სამკითხველო შენობის სხვენზე მოათავსა. ამის გამო მისი წიგნების ფონდი ნიავდება და ინვენტარი გამოუყენებელია. ასეთსავე მდგომარეობაშია ამავე რაიონის სოფ. არხუმანისა და კალამშას სამკითხველოები.

საკლუბო დაწესებულებებისადმი ადგილობრივი ხელმძღვანელი ამხანაგების უსულგულო დამოკიდებულების გამო ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხები ხშირად აუთვისებელი რჩება. მაგალითად, პატარძეულის (საგარეჯოს რაიონი) სოფლის საბჭომ 1936 წელს საოპერაციო ხარჯებისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებული 800 მანეთიდან სამკითხველოს მხოლოდ 70 მანეთი მისცა. ბარისახოს (დუშეთის რაიონი) სამკითხველომ გათვალისწინებული 400 მანეთიდან მიიღო 52 მანეთი. ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების გაუცემლობის გამო გურჯაანის რაიონის არც ერთ სამკითხველოს არ შეუძენია საჭირო ინვენტარის მინიმუმიც კი.

ასეთივე მდგომარეობა იყო ამბროლაურის რაიონის სოფლის საბჭოების უმრავლესობასა და ნაწილობრივ ტყიბულის რაიონშიაც. ყოველივე ამის გამო ხსენებული სოფლის საბჭოების საკლუბო მუშაობა ზოგან სრულიად ჩაიშალა.

სამკითხველოებისა და კლუბების მუშაობაში არსებულ გარღვევათა ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს საკლუბო მუშაკთა კადრების ხშირი ცვლა, მათი არაპირდაპირი დანიშნულებით გამოყენება.

ველისციხის (გურჯაანის რაიონი) სამკითხველოში სოფლის საბჭომ 1936 წლის იანვრიდან ამავე წლის ნოემბრამდის ოთხი გამგე გამოსცვალა. ყანდაურას სამკითხველოში სულ მოკლე დროში 7 გამგე გამოსცვალეს.

ამის შესახებ რაიონის განათლების განყოფილებამ არაფერი იცოდა, სანამ ადგილზე განსახკომიდან მივლინებული ამხანაგი არ ჩავიდა.

საკლუბო მუშაკთა კადრებს ასევე ექცეოდნენ ქუთაისის, შიათურის, ახალციხის, ბაშკიჩეთის და საგარეჯოს რაიონებში.

კადრებით სამკითხველოებისა და კლუბების გამტკიცებას უეჭველად ხელს უშლიდა ხელფასის დროულად გაუცემლობა. მაგალითად, გასული წლის დეკემბრისათვის გურჯაანის რაიონის სოფელ ყანდაურასა და ჩალაუბნის სამკითხველოთა გამგეებს მიუღებელი ჰქონდათ ოთხი თვის ხელფასი, კაჭრეთისას—6 თვის; ასეთივე მდგომარეობა იყო სოფ. მეტეხის (გორის რ.), პატარძეულის, ნინოწმინდის, გიორგიწმინდის, სართიჭალის და გომბორის (საგარეჯოს რაიონი), სამკითხველოების გამგეების მიმართაც.

სოფლის მშრომელთა მასებში სოციალისტური კულტურის დანერგვისა და ამ მასების საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის აღზრდის საქმეში კულტგანმანათლებელ დაწესებულებათა როლი და მნიშვნელობა ყოველთვის დიდი იყო, მაგრამ ის განსაკუთრებით გაზრდილია ამჟამად, როდესაც დიად სტალინურ ხარტიას ჩვენი ქვეყნის მშრომელთა პოლიტიკურ-საზოგადოებრივი აქტივობა ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აჰყავს.

ეს მდგომარეობა განსაკუთრებულ მოვალეობას აკისრებს ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს.

უნდა გვახსოვდეს, რომ მხოლოდ კონკრეტულ-ოპერატიული, ბოლშევიკური ხელმძღვანელობით შევძლებთ მთლიანად და პირნათლად გავატაროთ ყველა ის მითითება, რომელთაც კერძოდ სოფლად მუშაობის დარგში გვაძლევს დიდი სტალინის მოწაფე და თანამებრძოლი, ამიერ-კავკასიისა და საქართველოს ბოლშევიკების სახელოვანი ხელმძღვანელი ამხ. ლავრენტი ბერია.

ИМЕНИ
ЦК
ВКП

ხაშურის ამხ. ლ. ბერიას სახელობის ელდეპოში საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს სახელობის ელმავლის მემანქანემ, ორდენოსანმა მ. კურტანიძემ და მემანქანემ ფრანჩუკმა იკისრეს ელმავლის ურემონტოდ 50.000 კილომეტრის გარბენა. ეს ვალდებულება შეასრულეს. შემდეგ ელმავალი დადგა წყვილათვალის მოსახარატებლად. ელმავალი მარტის მეორე ნახევრიდან გაანახლებს მუშაობას. **სურათზე:** მღებავი ამხ. რაზმაძე ღებავს საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს სახელობის ელმავალს.

ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

გიორგი ქუჩიშვილი

ნ ა ნ ა

(აღმზრდელ არინას სიმღერა ნორჩ პუშკინზე)

ნანა, ჩემო თმახუჭუჭავ,
ძილს დაგიტკბობს ძიძა.
დღის სინათლე თვალსა ჰხუჭავს,
შენ კი ისევ ღვიძავს.

შენ აქ იშვი სხვა ვარსკვლავზე,
სხვა მზის იაგვარდო.
მეც სხვა შანგზე გარწევ მკლავზე,
რომ სხვარიგად გზარდო.

ნანა, ჩემო ბიჭუნიავ,
დაიძინე, ნანა.
რა ხანია სძინავს ნიავს,
სძინავს ყრუ ქვეყანას.

ნანა, ძილი ეპარება
მოზარბაცე ლამპარს.
მთვარეც ღრუბელს ეფარება,
ნანა, გეტყვი ზღაპარს.

გეტყვი, თუ ვინ რა დღეშია,
ვინ რა ტანჯვას იტანს:
ყმანი უღელში ხვნეშიან,
ელიან მხსნელ ტიტანს.

ნანა, ჩემო სინეტარევ,
ნანა, ჩიტუნიავ,
ნიავსაც არ მოგაკარებ,
ნიავს, ფრთა-სუსხიანს.

ბელებს ნუ შყოფ, ნუ ფართხალებ.
ნუ თრთი ფოთოლივით.
ის ქარია, რომ ვალალებს
ხალხის მოთქმა-ჩივილს.

გაიზრდები, შენც მიხვდები
სოფლის გაბმულ გმინვას,
ხან ცრემლებით აკვნესდები,
ხან მოჰყვები გრგვინვას.

ნანა, ჯერ შენ ვერ შეიცნობ
ჩვენს უკულმართ ხანას,
მოვა დრო და ღრმად შეიგრძნო
რაც სტკივა ქვეყანას.

მაშ, იყუჩე, დაიძინე,
ნუ თრთი ფოთოლივით.
ის ქარია, რომ ქვითინებს
ხალხის მოთქმა-ჩივილს.

◇

ლაგოდეხელთა გამარჯვება

(ლაგოდეხი, „კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტისაგან)

1921 წლის 70 ჰექტარის ნაცვლად შარშან ლაგოდეხის რაიონში თამბაქო 3.300 ჰექტარზე გაშენდა.

გაუმჯობესდა სასათბურო მეურნეობაც. 1931 წელს არსებული სათბურებით გასაშენებელი ფართობის მხოლოდ 10 პროცენტი კმაყოფილდებოდა, შარშან კი სათბურის ნერგით 70 პროცენტი დაკმაყოფილდა. ამავე დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მიწის დროულად და მაღალხარისხოვნად დამუშავებას, გაპატივებას, მცენარის სანიმუშო მოვლას. ამის შედეგად სწრაფად გაიზარდა მოსავალიც — ჰექტარზე საშუალოდ 1931 წლის 8,5 ცენტნერისა ნაცვლად შარშან მიიღეს 12 ცენტნერზე მეტი, ზოგიერთ ნაკვეთზე კი 20-23 ცენტნერამდე.

ლაგოდეხელ კოლმეურნეთა ეს გამარჯვება ნამდვილი სტახანოვური მუშაობის, გეგმის სანიმუშოდ შესრულებისათვის ბრძოლის ნაყოფია. ასეთი მუშაობით რაიონმა 1 იანვრამდე თამბაქოს სავალდებულო ჩაბარების გეგმა 121 პროცენტით შეასრულა — 1.575 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს ჩააბარა 1.910 ტონა ხარისხოვანი ნედლეული; აქედან პირველი, მეორე და მესამე ხარისხების თამბაქო დიდი გადაჭარბებით, 15 თებერვლისათვის კი — ვადაზე 30 დღით ადრე რაიონმა წლიური გეგმა შეასრულა 105,7 პროცენტით — ჩააბარა 3.699 ტონა ნედლეული, გეგმაზე 199 ტონის გადაჭარბებით. ხოლო 1 მარტისათვის ამ ვადაზე სავალდებულო ნედლეული ჩაბარებულ იქნა გეგმის 120 პროცენტი— 3.786 ტონა, ნაცვლად 3.150-ისა.

აღსანიშნავია, რომ რაიონმა პირველი ხარისხის თამბაქოს ჩაბარების ხუთთვიურ გეგმას 36 პროცენტით გადააჭარბა.

რაიონში არის კოლმეურნეობები, რომელებმაც ჯერ კიდევ ერთი - ორი თვის წინად შეასრულეს თამბაქოს დამზადების წლიური გეგმა და დღესაც განაგრძობენ ნედლეულის ჩაბარებას. ცოდნის კარის სასოფლო საბჭოს სოფელ ჩადუნიანის კოლმეურნეობა „წითელმა დროშამ" (თავმჯდომარე პლ. ფედორენკო) წლიური გეგმა პირველ იანვრამდე შეასრულა. აქ პირველი ხარისხის თამბაქო ჩააბარეს წლიური გეგმის 200 პროცენტი, მეორისა — 500, მესამისა — 200, მეოთხისა — 150 პროცენტი.

იანვარსა და თებერვალში წლიური გეგმის ვადამდე შემსრულებელთა რიცხვმა სწრაფად იმატა. სახელმწიფო ვალდებულების შესრულებაში განსაკუთრებით თავი ისახელეს: კოლმეურნეობა „შრომამ" (ლაგოდეხის სას. საბჭო), ფრუნზეს და ბუდიონოვის სახელობისამ (ბუდიონის სას. საბჭო), ორჯონიკიძის სახელობისამ, „ოქტომბრის ქარიშხალმა" და „მოახალშენემ" (ცოდნისკარი), კიროვისა (ვარდისუბანი), 26 კომუნარის (კაბლის) წითელი არმიის სახელობისამ (ულიანოვკის სას. საბჭო) და რამდენიმე ათეულმა სხვამ.

მაგრამ რაიონის მოწინავე სასოფლო საბჭოებისა და კოლმეურნეობების გვერდით არიან სამარცხვინოდ ჩამორჩენილებიც. გეგმის ჩამშლელები: არეშფერანის სოფლის საბჭოს (თავმჯდომარე ტაუტიევი), სადაც 8 კოლმეურნეობაა და თამბაქო შარშან 137 ჰექტარზე ეთესათ, სახელმწიფოსათვის უნდა ჩაებარებია 135,4 ტონა ნედლეული. აქ პირველი ხარისხის თამბაქო 538 კილოგრამის ნაცვლად თებერვლის ბოლომდე ერთი კილოგრამიც არ ჩაუბარებიათ, ხოლო მეორე ხარისხის 4.597 კილოგრამიდან დამზადებულ იქნა 185. ჩამორჩენილია ამ სასოფლო საბჭოს თითქმის ყველა კოლმეურნეობა.

მსგავსი მდგომარეობაა ლელიანის სოფლის საბჭოს (თავმჯდომარე დ. მჭედლიშვილი) კოლმეურნეობებშიაც (აქაც 8 კოლმეურნეობაა) — პირველი ხარისხის თამბაქო 437 კილოგრამიდან ერთი კილოგრამიც არ ჩაუბარებიათ. თითქმის ასევე ჩამორჩენილი არიან მეორე ხარისხის ნედლეულის ჩაბარებაშიაც.

დიდი ჩამორჩენაა ბაისუბნის სოფლ საბჭოს ექვსსავე კოლმეურნეობებშიაც — მართალია წლიური გეგმა 85 პროცენტამდე შეასრულეს. მაგრამ პირველი ხარისხის თამბაქო 3.730 კილოგრამის ნაცვლად ჩააბარეს 275, მეორე ხარისხის 15217 კილოგრამიდან კი მხოლოდ 3.540.

სად უნდა ვეძიოთ ამ ჩამორჩენის მიზეზი? ახსნა ასეთია: მთელ რიგ სოფლსაბჭოებსა და კოლმეურნეობებში დროზე არ მიიღეს გადამჭრელი ზომები მოსავლის აღებად, მუშაობა გააჭიანურეს, თავის დროზე არ მოამზადეს შენობები, არ მოემზადნენ თამბაქოს ახალი სტანდარტისათვის — აწყობდნენ ხავანგებად და არა დამატებად. კოლმეურნეობათა ზოგიერთმა ხელმძღვანელმა დაივიწყა, რომ წლიური გეგმის შესრულებაში რაოდენობასთან ერთად განუწყვეტლია ხარისხისათვის ბრძოლა.

გარდა ამისა, აქ ისიც გამორჩათ, რომ მთავრობის დადგენილებით ჰექტარზე ლაგოდეხისათვის დაწესებული 893 კილოგრამი თამბაქო. გადაჭარბების შემთხვევაში კონტრაქტაციით სავალდებულო რაოდენობის ზევით ჩაბარებულ მოსავალში ძირითადი ფასის გარდა კოლმეურნეებს ეძლევათ ჯილდო-წანამატი. შარშან 1935 წლის მოსავალზე ლაგოდეხის რაიონში მხოლოდ ჯილდო-წანამატის სახით გაიცა 4,5 მილიონი მანეთი, აქედან აფენის სოფლის საბჭოს ტელმანის სახელობის კოლმეურნეობამ მიიღო 428.000 მანეთი, „წითელარმიელმა" — 397.000, „შრომამ" (ლაგოდეხის სას. საბჭო) — 200.000 მანეთი. წელს კი ყველა პირობა არსებობს იმისათვის, რომ ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეებმა ჯილდო-წანამატის სახით 6 მილიონ მანეთამდე მიიღონ.

ტრ. თოდრაძე.

მ. კახრამანოვი

პარტიულ - მასობრივი მუშაობა მტს-ებში

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის (1934 წ.) პლენუმმა, მტს-ების პოლიტგანყოფილებების ჩვეულებრივ პარტიულ ორგანოებად გარდაქმნასთან დაკავშირებით, გადასწყვიტა: „დაწესდეს ყოველ მტს-ში თანამდებობა მტს-ის დირექტორის მოადგილისა პოლიტიკურ ნაწილში, რომელსაც დაეკისროს მტს-ის დირექტორის ყველა ღონისძიებისა და წამოწყების წარმატებით ჩატარების პოლიტიკურად უზრუნველყოფა და თვით მტს-ის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნის ფუნქციების შესრულება".

უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ მტს-ების დირექტორების ყველა მოადგილემ პოლიტნაწილში ვერ შეიგნო ის ამოცანები, რომლებიც მათ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებით დაეკისრა.

ლუქსემბურგის, ბორჩალოს, ახალქალაქის, ბოგდანოვკისა და გურჯაანის მტს-ების შემოწმებამ, რაც საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მოახდინა, ცხადჰყო, რომ ორგანიზაციულ - პარტიული და მასობრივ-პოლიტიკური და კულტურული მუშაობა ამ მტს-ებში დამაკმაყოფილებლად არ არის დაყენებული.

თავის მუშაობაში ამ მტს-ების დირექტორთა მოადგილენი პოლიტნაწილში და პირველადი პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ ეწევიან ხოლმე მტს-ის დირექციის მაგივრობას. მტს-ის პარტიული ორგანიზაციები საგრძნობლად მეტ სამეურნეო და ადმინისტრატიულ საკითხებს იხილავენ, ვიდრე პარტიულ-მასობრივი მუშაობის საკითხებს.

რა თქმა უნდა, პარტორგანიზაცია და დირექტორის მოადგილე პოლიტნაწილში სათანადოდ უნდა ეხმაურებოდნენ მოუგვარებლობას მტს-ის მუშაობაში, უნდა მუშაობდნენ მტს-ის სამეურნეო ამოცანებზე, მაგრამ ისინი სრულებითაც არ უნდა დაადგნენ იმ გზას, რომ დირექტორის მაგივრობას ეწეოდნენ, არამედ ეს საკითხები უნდა დააყენონ პოლიტიკურად, გამოარკვიონ ჩამორჩენისა და მოუგვარებლობის მიზეზები და დარაზმონ კომუნისტთა და კომკავშირელთა და მტს-ის სხვა მუშაკთა ფართო მასები მტს-ის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის.

დამახასიათებელია, რომ ზოგიერთ მტს-ში თვითონ დირექტორები უწყობენ ხელს პარტიული ორგანიზაციის მიერ დირექციის მაგივრობის გაწევას. ისინი ცდილობენ ყოველი თავისი განკარგულება წინასწარ კანამტკიცონ პარტიული ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, რათა თავი დაიზღვიონ პასუხისმგებლობისაგან, ეს კი ცალკეულ შემთხვევებში იწვევს იმას, რომ მტს-ის პარტორგანიზაცია დირექციის უკანონო ოპერაციებს ადასტურებს.

მაგალითად, ლუქსემბურგის მტს-ის დირექტორს ამხ. რაიზერს (1936 წ. 24 მაისს) შეაქვს წინადადება, ხოლო პარტორგანიზაცია ღებულობს შემდეგ გადაწყვეტილებას: „თუ მიწსახკომის სახელოსნოს არ შეუძლია ვადაზე შეასრულოს შეკვეთა, მაშინ შეკვეთა მიეცეს სხვა სახელოსნოს, უკიდურეს შემთხვევაში კერძო პირს".

ბორჩალოს მტს-ში სანამ პარტკომმა არ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ ტვირთზიდვაზე მომუშავე მტს-ის მანქანები კოლმეურნეობებისათვის მინერალური სასუქის გადატანაზე გადაეყვანათ, მტს-ის დირექტორის მოადგილემ ამხ. გოგიჩაიშვილმა ეს ღონისძიება არ გაატარა, ამასთან ეს საკითხი პარტორგანიზაციაში თვით ამხ. გოგიჩაიშვილმა შეიტანა.

ცხადია, ასეთი პრაქტიკა მტს-ების პარტორგანიზაციების მუშაობაში არ შეესაბამება საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებას. ეს პრაქტიკა არსებითად ამცირებს როლს მტს-ის დირექტორის მოადგილისას პოლიტნაწილში, როგორც პოლიტიკური ხელმძღვანელისას, ასუსტებს ერთმმართველობას და აქეზებს უპასუხისმგებლო ელემენტებს მტს-ში. ხოლო მთავარი ისაა, რომ დირექტორების მოადგილენი პოლიტნაწილში, სამეურნეო საკითხებით გატაცებულნი, ივიწყებენ თავის ძირითად, საკუთრივ - პარტიულ მუშაობას.

ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ ტრაქტორისტებთან მუშაობა მინდვრის სამუშაოთა პერიოდში განსაკუთრებით ცუდად არის დაყენებული. მთელი მუშაობა მათთან იმით განისაზღვრება, რომ მათთან შემთხვევით შეივლიან ხოლმე და იშვიათად საუბრებს გაუმართავენ. ბრიგადებისათვის გაზეთების მიწოდებაც კი არ არის მოგვარებული. მიუხედავად იმისა, რომ ტრაქტორისტების უმრავლესობას გაზეთები ჰქონდა გამოწერილი, მათ გაზეთები არ მისდიოდათ (ბორჩალო, ლუქსემბურგი).

ბორჩალოს, ბოგდანოვკისა და ლუქსემბურგის რაიონებში აგიტატორები და წამკითხველები ფორმალურად არიან გამოყოფილნი, მათთან სისტემატური მუშაობა არ სწარმოებს, მათ გაზეთებსა და ლიტერატურას არ აწვდიან. ახალქალაქისა და ლუქსემბურგის მტს-ებში აგიტატორები და წამკითხველები სრულებით არ არიან გამოყოფილნი.

ისეთი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური დოკუმენტები, როგორიც არის ამხანაგ სტალინის მოხსენება ახალი კონსტიტუციის შესახებ, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია, ამხ. ბერიას მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მეხუთე პლენუმზე, ზერელედ დამუშავების შედეგად, მეტად სუსტად არის შეთვისებული ტრაქტორისტებისა და მტს-ების მუშების მიერ. ბორჩალოს მტს-ის პარტკომისა და ლუქსემბურგის მტს-ის პირველადი პარტორგანიზაციის მასალებში ამ დოკუმენტების დამუშავებისა და განხილვის არავითარი კვალი არ სჩანს, მაშინ როდესაც ამხ. ბერიას მოხსენებაში სპეციალურად იყო მითითებული ამ მტს-ების ცუდ მუშაობაზე.

პარტიის წევრმა, მეოთხე ბრიგადის ბრიგადირმა ყურბან-ზადემ (ბორჩალოს მტს-ი), სამანქანო-სატრაქტორო სახელოსნოს მუშამ ფრიც კრომერმა, კომკავშირელმა ტიგრან შახბაზოვმა (ლუქსემბურგის მტს-ი) ვერ განმარტეს თუ რა განსხვავებაა არჩევნების წესში ძველი და ახალი კონსტიტუციის მიხედვით და რა ახალი საკავშირო კომისარიატი შეიქმნა. მათ არ ახსოვთ, რისთვის გააკრიტიკა მათი მტს-ის მუშაობა ამხ. ბერიამ ცენტრალური კომიტეტის მეხუთე პლენუმზე და სხვ.

ასეთივე მდგომარეობაა გურჯაანის მტს-ში.

კომუნისტ და კომკავშირელ ტრაქტორისტთა პოლიტსწავლება სეზონურ ხასიათს ატარებს (მხოლოდ მინდვრის სამუშაოთა შეწყვეტის პერიოდში) და ისიც შეფერხებებით სწარმოებს. ახალქალაქის მტს-ში პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრე ერთ თვეზე მეტს არ შეკრებილა, პოლიტსაუბრის წრეებმა სომხურ და რუსულ ენებზე ერთი თვის განმავლობაში თითო მეცადინეობა ჩაატარეს.

გურჯაანის მტს-ში კომუნისტები მიმაგრებული არიან ცალკე სკოლებზე, რომლებშიაც იშვიათად დადიან. მტს-ის პარტორგანიზაცია მათს სწავლებას კონტროლს არ უწევს. პოლიტსწავლების სეზონურმა ხასიათმა ლუქსემბურგის მტს-ში გამოიწვია ის, რომ კომუნისტები ბადალ ბაღდასაროვი, რიაზანოვი და სხვები, რომლებიც პარტიის ისტორიას სწავლობენ, წლიდან-წლამდე ვერ გასცილებიან 1905 წლის რევოლუციის მასალების შესწავლას.

სუსტად არის დაყენებული აგრეთვე მტს-ების პარტორგანიზაციების მუშაობა მოწინავე ტრაქტორისტებთან. სწორედ ამით შეიძლება აიხსნას თანამგრძნობთა ჯგუფების მეტად სუსტი ზრდა. ბორჩალოს მტს-ში თანამგრძნობთა ჯგუფში ხუთი კაცი ირიცხება, გურჯაანისაში — 7 კაცი და ლუქსემბურგისაში მხოლოდ ორი კაცი.

თანამგრძნობებთან სისტემატური მუშაობა არ სწარმოებს.

მტს-ის პარტორგანიზაციები მზრუნველობას არ იჩენენ მტს-ების ტრაქტორისტებისა და მუშების კულტურულ - საყოფაცხოვრებო პირობათა გაუმჯობესებისათვის.

აღნიშნულ მტს-ებში ყოველდღიური ხელმძღვანელობა არ ეწევა სოციალისტური შეჯიბრებისა და სტახანოვური მოძრაობის განვითარების საკითხებს. შეჯიბრების ხელშეკრულებები ფორმალურ ხასიათს ატარებს, შეჯიბრების შედეგები არ მოწმდება, არ ხდება მოწინავეთა გამოცდილების განზოგადოება და მისი გადაცემა დანარჩენთათვის, არ სწარმოებს მუშაობა ჩამორჩენილთა წინ წამოსაწევად.

გურჯაანის მტს-ში, მიუხედავად იმისა, რომ ყველა სატრაქტორო ბრიგადებს შორის დადებული იყო სოცშეჯიბრების ხელშეკრულებები, საწარმოო გეგმა მხოლოდ ერთმა ბრიგადამ შეასრულა (9 ბრიგადიდან), ბორჩალოს მტს-ში ბრიგადებს შორის შედგენილია შეჯიბრების სტანდარტული ხელშეკრულებები.

მტს-ის პარტორგანიზაციები სისტემატურად არ მუშაობენ კომუნისტთა და კომკავშირელთა ავანგარდული როლის საკითხებზე. არ სწარმოებს ყოველდღიური მუშაობა ჩამორჩენილ კომუნისტთა და კომკავშირელთა წინ წამოსაწევად.

მტს-ებში პარტიული და კომკავშირული მუშაობის ასეთი მდგომარეობისათვის პასუხისმგებელნი არიან აგრეთვე პარტიისა და კომკავშირის რაიკომებიც, რომლებიც უმთავრესად მტს-ის სამეურნეო საკითხებზე მუშაობენ, ხოლო ცუდად ხელმძღვანელობენ თავისი მტს-ების პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს და ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ ტრაქტორისტთა შორის მასობრივი, პოლიტიკური და კულტურული მუშაობის საკითხებს.

ზოგიერთმა პარტრაიკომმა (კერძოდ ლუქსემბურგის რაიკომმა) მტს-ის დირექტორის მოადგილეს პოლიტნაწილში მობილიზაცია უყო ხანგრძლივი პერიოდით კოლმეურნეობებსა და სოფლსაბჭოებში სამუშაოდ და ამით თავის ძირითად სამუშაოს მოსწყვიტა ის.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა აღნიშნულ მტს-ებში პარტიულ - მასობრივი მუშაობის მდგომარეობის საკითხები, არადამაკმაყოფილებლად სცნო ამ მუშაობის მდგომარეობა, აღნიშნა არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი და განუმარტა მტს-ების დირექტორების მოადგილეებს პოლიტნაწილში: ლუქსემბურგისას, — ამხ. მ. ჰასანოვს, ბორჩალოსას — ამხ. შიხალიევს, ბოგდანოვკისას — ამხ. ბოიაჩიანს, გურჯაანისას — ამხ. ჭყონიას და ახალქალაქისას ამხ. ლოხიანს, რომ მათ ძირითად სამუშაოს წარმოადგენს ორგანიზაციულ-პარტიული და მასობრივ-პოლიტიკური და კულტურული მუშაობა მტს-ში, უმთავრესად ტრაქტორისტთა შორის.

ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა ამხანაგებს უახლოეს დროში იმგვარად გარდაჰქმნან თავისი მუშაობა და მტს-ის პარტორგანიზაციის მუშაობა, რომ მაქსიმალურად გამოიყენონ ზამთრის პერიოდი, რათა აამაღლონ ტრაქტორისტთა იდეურ-პოლიტიკური და კულტურული დონე და მათი ტექნიკური კვალიფიკაცია (უზრუნველჰყონ პარტგანათლების ქსელის რეგულარული მუშაობა, საუბრების ჩატარება, გაზეთების ხმამაღლა კითხვა და ტექსწავლების წრეების მუშაობა), აგრეთვე მოამზადონ მინდვრად ტრაქტორისტთა შორის პარტიულ - მასობრივი მუშაობის გაშლისათვის.

ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება მისცა საქ. ალკკ ც. კ-ს გაატაროს ღონისძიებანი მტს-ების კომკავშირული ორგანიზაციების განმტკიცებისათვის, კერძოდ პარტიის რაიკომებთან ერთად გადასინჯოს და განამტკიცოს მტს-ების კომკავშირის კომიტეტების მდივანთა და კომკავშირის ორგანიზატორთა შემადგენლობა.

სიღნაღის რაიონის კომკავშირული პოლიტსკოლების მოწინავე პროპაგანდისტთა ჯგუფი. ფოტო რ. აკოფოვისა

სიღნაღის რაიონის კომკავშირული პროპაგანდისტები თბილისში

4 მარტს სიღნაღის რაიონიდან თბილისში ჩამოვიდა პარტისტორიის ძირითადი მომენტების შემსწავლელი კომკავშირული წრეების პროპაგანდისტთა ჯგუფი —25 კაცის შემადგენლობით.

პროპაგანდისტთა ჯგუფმა ჩამოსვლის პირველ დღეს დაათვალიერა ამიერკავკასიის და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხებისადმი მიძღვნილი მხატვრული გამოფენა, დათვალიერებისას ცალკეული მომენტების შესახებ მოსმენილ იქნა კონსულტაცია მხატვრული გამოფენის შინაარსის ღრმად გასაცნობად.

7 მარტს საღამოს პროპაგანდისტთა ჯგუფი მიიღო საქ. ა.ლ.კ.კ. ც. კ-ის მდივანმა ამხ. მგელაძემ, რომელმაც მათთან მოაწყო მეტად საინტერესო საუბარი პროპაგანდისტული მუშაობის შესახებ. ჩამოსულმა ამხანაგებმა ცენტრალური კომიტეტის მდივანს უამბეს, თუ როგორ მოაწყეს კომკავშირული პოლიტგანათლების ქსელის უკეთ მუშაობა ამხანაგ სტალინის მითითებების, საქ. ა.ლ.კ.კ. X ყრილობისა და საკ. ა. ლენინური კომკავშირის ც. კ-ის მე-2 პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად. სიტყვას აძლევს ჯგუფის ხელმძღვანელი ამხ. ვ. ჭოჭუა. მან ამხ. მგელაძეს უამბო კომკავშირის პოლიტგანათლების ქსელის მუშაობის, კერძოდ საკ. კ.პ. (ბ) ისტორიის სწავლების გაუმჯობესების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წელს კომკავშირის სიღნაღის ორგანიზაციაში საგრძნობლად გაუმჯობესდა პროპაგანდისტულ-საგიტაციო მუშაობა. პოლიტგანათლების ქსელის უკანასკნელი დაკომპლექტების შედეგად რაიონში ჩამოყალიბებულია სულ 121 პოლიტსკოლა და წრე. გაუმჯობესდა პროპაგანდისტთა კადრის შემადგენლობა: 121 პროპაგანდისტიდან—55 უმაღლესი განათლებითაა, 63 საშუალო განათლებით და მხოლოდ 3 დაბალით. პროპაგანდისტთა შორის 12 პარტწევრი და კანდიდატია.

ახლა რაიონში არის მთელი რიგი პოლიტწრეები, რომლებმაც შესაფერისად დააყენეს ბოლშევიზმის წარმტაცი ისტორიის საფუძვლიანად შესწავლა, ასეთებია, მაგალითად, ჯუგაანის, ქვ. მაჩხაანის, ტიბაანის, არბოშიკის, წითელი-წყაროს და ქვ. ბოდბის სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციებთან არსებული წრეები.

ცენტრალურ კომიტეტში თავიანთი პოლიტწრეებისა და სკოლების მუშაობის შესახებ ილაპარაკეს პროპაგანდისტებმა ამხ. მენთეშაშვილმა, ნინო ვარამაშვილმა, შ. ზედელაშვილმა, მ. თევზაძემ, ალ. კოჭლამაზაშვილმა და საქ. ალკკ სიღნაღის რაიკომის მდივანმა ამხ. იაშაღაშვილმა.

ამხ. მგელაძემ პროპაგანდისტების ყურადღება გაამახვილა საკ. კ.პ. (ბ) ისტორიის შესწავლის აუცილებელი გაუმჯობესების პრაქტიკულ საკითხებზე.

საქ. ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა თვითეული პროპაგანდისტი კარგი მუშაობისათვის დაასაჩუქრა 50 მანეთის პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურით.

ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი

ერთერთი უდიდესი შენობა არა მარტო თბილისში, არამედ მთელ ამიერ-კავკასიაშიც იქნება ტრანსპორტის ინჟინერთა ა.-კ. ინსტიტუტი. შენობის პროექტი დაამუშავეს არქიტექტორებმა მ. მ. ნეპრინცევმა და ნ. პ. გლაზკოვმა.

დამტკიცების სტადიაში ინსტიტუტის შენობის პროექტი განიხილეს მოსკოვის მთელმა რიგმა ცნობილმა პროფესორებმა, ხოლო არქიტექტურული ნაწილი არქიტექტურის აკადემიკოსმა ა. ვ. შჩუსევმა და სავსებით დადებითად შეაფასეს იგი.

ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი აიგება საქართველოს სამხედრო გზის მაგისტრალთან, თბილისის ზოოპარკის გვერდით.

ინსტიტუტი გათვალისწინებულია 1.500 სტუდენტის ერთდროული სწავლებისათვის. ინსტიტუტში სწავლება იწარმოებს ქართულ, სომხურ, რუსულ და თურქულ ენებზე. გათვალისწინებულია აუდიტორიებისა და კაბინეტების საკმაო რაოდენობა, რაც საშუალებას მისცემს თვითეულ სტუდენტს იქონიოს თავისი მუდმივი სამუშაო ადგილი.

ფართოდ არის დაპროექტებული ლაბორატორიები და კაბინეტები ყველა ფაკულტეტის ძირითად სპეციალობათათვის. აქ იქნება საგზაო, საექსპლოატაციო და საორთქლმავლო ფაკულტეტები.

ყველა კაბინეტი უზრუნველყოფილი იქნება ყოველგვარი აუცილებელი ხელსაწყოთი. ამ მიზნით გამოყენებული იქნება საამშენებლო ტექნიკის უახლესი მიღწევები. მაგალითად, საორთქლმავლო ფაკულტეტის სტუდენტთა პრაქტიკული მეცადინეობისათვის აშენდება ფართო მექანიკური სახელოსნო და საორთქლმავლო ლაბორატორია, სადაც თვითეულ სტუდენტს შეეძლება მიიღოს მდიდარი პრაქტიკა თავის სპეციალობაში.

ინსტიტუტის საუდიტორიო ფონდი გათვალისწინებულია როგორც სტუდენტთა ცალკე ჯგუფებისა, ისე მთელი კურსების მომსახურებისათვის. ამ მიზნით აიგება სპეციალური დიდი აუდიტორიები 50, 70, 100 და 300 კაცისათვის. დიდ აუდიტორიებში დაიდგმება კინოაპარატები ლექციების კითხვის დროს სამეცნიერო სურათების დემონსტრაციისათვის.

ამ აუდიტორიებს გარდა, ინსტიტუტში იქნება დიდი სააქტო დარბაზი 1.500 კაცისათვის. ამ დარბაზის გამოყენება შეიძლება სამეცნიერო ყრილობებისა, კონფერენციებისა და მოხსენებებისათვის.

ინსტიტუტთან აიგება დიდი ბიბლიოთეკა 100.000 წიგნისა, რომლითაც შეეძლებათ ისარგებლონ არა მარტო სტუდენტებს, არამედ გარეშე ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკებსაც. ინსტიტუტთან იქნება ფიზკულტურის კარგად მოწყობილი დარბაზი სტადიონი და სასპორტო მოედანი.

შენობის საერთო მოცულობა იქნება 135 ათასი კუბ. მეტრი. ინსტიტუტი შესდგება მთელი რიგი კორპუსებისაგან (ფაკულტეტები) რომლებიც არქიტექტურულად გაერთიანებული იქნებიან ერთიან კომპლექსად. დასვენების დროს სტუდენტთა კულტურული გართობის მიზნით ინსტიტუტის ეზო უხვად იქნება გამწვანებული.

წელს ინსტიტუტის მშენებლობისათვის გადადებულია 2.500 ათასი მანეთი. უახლოეს დროში დაიწყება მოსამზადებელი სამშენებლო სამუშაოები.

◇ ◇ ◇

ახალციხის თეატრში

ახალციხის სახელმწიფო თეატრში გაიხსნა სეზონი. თეატრმა მუშაობა დაიწყო ახლად გადაკეთებულ შენობაში.

1937 წელს სახელმწიფო თეატრისათვის გაიღო დაახლოებით 100 ათასი მანეთი. თეატრში სამუშაოდ მოწვეული არიან გამოცდილი მსახიობები ბაქოდან, ერევნიდან და თბილისიდან; გაძლიერებულია აგრეთვე სცენისმოყვარეთა აქტივი.

1937 წელს თეატრში იმუშავებს არტისტთა 4 კოლექტივი — სომხური, ქართული, თურქული და რუსული (დაახლოებით 60 პროფესიული მსახიობი და სცენისმოყვარე); პიესებს დასდგამენ ოთხ ენაზე.

1937 წლის სეზონში განზრახული აქვთ დასდგან პიესები „შაჰნამე" — ჯანანისა, „ბალთასარ აბჰარი" — პარონიანისა, „ნაბიჭვარი" — შვარკინისა, „ძუნწი" — გ. ერისთავისა, „ხატიჯე" ჯ. კალაძისა და სხვ.

გიგანტური ბავშვი

ქუთაისი, 14 მარტი (საქდესი). ვანის რაიონის სოფელ ზორაზეინდარის კოლმეურნემ მ. ხურციძემ ქუთაისში ჩამოიყვანა თავისი 11 თვის ბავშვი, რომელიც 23 კილოგრამს იწონის.

ბავშვის მშობლები სავსებით ნორმალური და ჯანსაღნი არიან. ქუთაისის ჯანმრთელობის განყოფილების სპეციალურმა კომისიამ შეამოწმა ბავშვი და სცნო, რომ იგი ჯანსაღია; გული, ფილტვები და სხვა ორგანოები ნორმალურად აქვს განვითარებული.

მშობლების განცხადებით ბავშვი ნორმალური წონის დაიბადა. ძლიერი ზრდა დაიწყო 6 კვირის შემდეგ.

ბავშვი დედის ძუძუთი იკვებება.

უჩვეულო წონის მიზეზების გამოსარკვევად ბავშვი თბილისში იგზავნება.

○

როგორც დედათა და ბავშვთა დაცვის თბილისის სამეცნიერო - საგამოკვლევო ინსტიტუტის დირექტორმა პროფ. ე. მ. სობესტიანსკიმ საქდესის თანამშრომელს აცნობა, ბავშვის საშუალო ნორმალური წონა დაბადებისას უდრის 3,25 კილოგრამს, ხოლო მაქსიმალური წონა 5 კილოგრამს. ბავშვებს 1 წლის ასაკისათვის წონა ჩვეულებრივ ერთისამად ემატებათ, რაც ნორმალურად უდრის 10 კილოგრამს და მაქსიმალურად — დაახლოვებით 15 კილოგრამს. ამგვარად 11 თვის ბავშვის წონა — 23 კილოგრამი პათალოგიურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

სამეცნიერო მონაცემთა თანახმად, ზრდას განაგებს ენდოკრინული ჯირკვალი, რომელიც ტვინის ცენტრალურ ნაწილში იმყოფება. უნდა ვიფიქროთ, რომ ხურციძის ბავშვის შემთხვევა ამ ჯირკვლის მოჭარბებული მოქმედების შედეგია.

აზრის უფრო დაბეჯითებით გამოთქმა შეიძლებოდა მაშინ, თუ ბავშვს გამოგზავნიდნენ დედათა და ბავშვთა დაცვის სამეცნიერო - საგამოკვლევო ინსტიტუტში —თბილისში (ლენინის ქ. № 50) (საქდესი).

◇

ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა ერთტომეული

დაიბეჭდა და გასაყიდად გამოვიდა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ერთტომეული — პოემები, ლექსები, მოთხრობები (42 ფორმაზე მეტი).

წიგნს დართული აქვს შ. რადიანის წინასიტყვაობა, მწერლის ბიოგრაფია შედგენილი ქ. რაჭველიშვილის მიერ და მხატვარ ნ. ჩერნიშკოვის მიერ ფერადებით შესრულებული ილუსტრაციები. (საქდესი).

მოვამზადოთ 500 ავტომოხალისე

„პრავდაში" გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის გმირის ამხ. ა. ვ. ლიაპიდევსკის წერილი „ავტომანქანის მმართველთა შესახებ". ამ წერილმა და აქვე საკითხზე „პრავდის" მიერ მოწვეული სპეციალური თათბირის მასალებმა, რომლებიც „პრავდაში" გამოქვეყნდა, ცხოველი გამოხმაურება ჰპოვეს საბჭოთა კავშირის ყველა სასპორტო ორგანიზაციაში და კერძოდ საქართველოშიაც. დასახულია ამოცანად წელს მომზადდეს საბჭოთა კავშირში 500-600 ათასი ავტომოხალისე.

გაზეთ „პრავდის" მიერ დასახული ამოცანის განხორციელების მიზნით, საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა მიიღო სპეციალური დადგენილება. ამ დადგენილების მიხედვით საქართველოს ავტო-მოტოკლუბებმა 1937 წელს უნდა მოამზადონ 500 ავტომოხალისე. თბილისის ავტომოტოკლუბმა უნდა მოამზადოს 200 კაცი, ბათუმისამ — 150, სოხუმისამ — 75 და ქუთაისისამ — 75.

ავტომოხალისენი უნდა მოამზადონ ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის მიერ რეკომენდებული პროგრამით. კურსების მსმენელებმა უნდა იმეცადინონ არანაკლებ სამი თვისა, წარმოების მოუწყვეტლივ.

კურსდამთავრებულები ვალდებულნი არიან ჩააბარონ სახელმწიფო გამოცდები სახ. ავტოინსპექციაში.

ყველა ნებაყოფლობითს სასპორტო ორგანიზაციებს დადგენილების მიხედვით ევალებათ მოაწყონ ავტოსექციები და შეიმუშაონ ღონისძიებანი ავტომოხალისეთა მოსამზადებლად თბილისის, ბათუმის, სოხუმისა და ქუთაისის ავტოკლუბებში. ავტოკლუბებს დავალებული აქვთ უზრუნველჰყონ ავტომოხალისეთა დახმარება და მომსახურება (მაღალხარისხოვანი კონსულტაციები, ავტონაწილებით, ბინებით და საწვავი მასალით მომარაგება, მანქანების რემონტი და სხვ.).

თბილისის, ბათუმის, სოხუმისა და ქუთაისის ავტოკლუბებმა 25 მარტამდე უნდა წარუდგინონ ფიზკულტურისა და სპორტის საქართველოს კომიტეტს ავტომოტოსპორტის კალენდარული გეგმები.

◇

სპორტი

თბილისის მოკრივეები მოსკოვში

ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტმა 11 მარტს ქ. მოსკოვში ჩაატარა კავშირის უძლიერეს მოკრივეთა ამხანაგური შეხვედრა. შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად თბილისიდან პერსონალურად იყვნენ მიწვეულნი: ავეტისოვი, კანდელაკი, ნიკოლაევი, ბაქრაძე, რუდომიოტკინი და ნოვოსარდოვი.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბოლო დროს თბილისის მოკრივეებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს; ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის ცნობით, ავეტისოვის წინააღმდეგ უნდა გამოსულიყო მოსკოვისა და საზოგადოება „სპარტაკის" საკავშირო ფალავანი უხინი, კანდელაკს უნდა შეხვედროდა კავშირის მძიმე წონის უძლიერესი მოკრივე შტეინი, ნიკოლაევს—ივანოვი (მოსკოვი), ბაქრაძეს—რეპნინი (მოსკოვი), რუდომიოტკინს—ანუფრიკოვი (მოსკოვი) და ნოვოსარდოვს —კავშირის აბსოლუტური ფალავანი მძიმე წონისა კოროლიოვი.

როგორც მოსკოვიდან იუწყებიან, თბილისის მოკრივეებმა ბრწყინვალედ ჩაატარეს შეჯიბრება. ავეტისოვმა დაამარცხა უხინი, ხოლო კანდელაკი დამარცხდა შტეინთან. განსაკუთრებით დიდი ინტერესი გამოიწვია ნოვოსარდოვისა და კოროლიოვის შეხვედრამ. კოროლიოვმა ამას წინათ დაამარცხა ცნობილი მოკრივე მიხაილოვი, რის შედეგად კავშირის აბსოლუტური ფალავნის სახელს დაეუფლა. ყველა ნოვოსარდოვის „ნოკაუტით" დამარცხებას მოელოდა, მაგრამ თბილისელმა მშვენივრად ჩაატარა შეხვედრა და მეტად საეჭვო დამარცხება მიიღო.

ნიკოლაევის, ბაქრაძისა და რუდომიოტკინის შეხვედრები თბილისელების სასარგებლოდ გადაწყდა. ამრიგად შეჯიბრების საერთო შედეგი 4:2 დამთავრდა თბილისის სასარგებლოდ.

◇

უძველესი ხელნაწერები ასტრონომიის დარგში

ერევანი, 12 მარტი (საქდესი). ერევნის ობსერვატორია შეუდგა ასტრონომიის დარგში არსებული უძველესი (IX, X საუკუნის) სომხური ხელნაწერების შესწავლას. 800 ასეთი ხელნაწერი, რომლებიც დღემდე ეჩმიაძინის სახელმწიფო წიგნსაცავში ინახებოდა, უდიდეს მეცნიერულ ინტერესს წარმოადგენს.

ჭადრაკი

ტურნირი თბილისის პირველობაზე

მეთერთმეტე ტური

მალუნცევმა კასპარიანთან ესპანურ პარტიაში მიიღო უკეთესი მდგომარეობა, შემდგომი კარგი თამაშით მოიგო ხარისხი და პარტიაც უნდა მოეგო, მაგრამ უხეში შეცდომით დაჰკარგა მხედარი და შემდეგ პარტიაც.

იგივე სურათი განმეორდა ფირცხალავა—ვეიზერის პარტიაშიც, ფირცხალავამ საუცხოო თამაშით სრულიად გაანადგურა ვეიზერის პოზიცია, ის უკვე მეოცე სვლაზე არ დასჯერდა პარტიის უბრალო მოგებას და სრულიად საფუძვლიანად დაიწყო თამაში შამათზე, მაგრამ ცეიტნოტში რამდენიმე უხეში შეცდომა გააკეთა და ხელიდან გაუშვა ჯერ მოგება და შემდეგ ყაიმიც. პარტია მოიგო ვეიზერმა.

უპასუხისმგებლოდ მოეპყრო თავის პარტიას ფალავანდიშვილი სოროკინთან. ჰოლანდიურ დაცვაში სოროკინმა დაიწყო შეტევა ფალავანდიშვილის მეფეზე. ფალავანდიშვილმა კარგად დაიცვა თავი და ადვილად მოიგერია იერიში, ხოლო შემდეგ, როცა მისი მდგომარეობა გაუმჯობესდა, მან აჩქარებული და მოუფიქრებელი თამაშით დაჰკარგა ეტლი და მასთან პარტიაც.

ასოვსკიმ კარგად გამოიყენა ხოტელაშვილის შეცდომა დებიუტში, უკვე მე-19 სვლაზე მოიგო ლაზიერი და აიძულა ხოტელაშვილი დაეთმო პარტია.

გოგლიძემ შიშოვთან რეტის დებიუტში უკეთესი მდგომარეობა მიიღო. თუმცა შიშოვი კარგად იცავდა თავის პოზიციას, მაგრამ მისი მდგომარეობა მაინც უარესი იყო. მიუხედავად ამისა, გოგლიძე დასთანხმდა ყაიმზე.

ებრალიძესთან ნერსესოვმა უხეში შეცდომით წააგო პაიკი და შემდეგ პარტიაც.

გადაიდო სერედა—კანკავას პარტია თანაბარ მდგომარეობაში.

○

მეთერთმეტე ტურის შემდეგ მდგომარეობა ასეთია: კასპარიანი+9, ვეიზერი+8, ებრალიძე +7, ფალავანდიშვილი+6½, გოგლიძე და ფირცხალავა+6, შიშოვი+5½ (1 გად.), ასოვსკი+5 (1 გად.), მალუნცევი+4½ (2 გად.), სოროკინი+4½, სერედა +4 (1 გად.), კანკავა+2½ (1 გად.), ხერსესოვი +1½.

დღეს, 15 მარტს ტურნირის მონაწილენი ისვენებენ.

◇ ◇ ◇

ვიოლინოს სახელმძღვანელო

ზაქ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის მეორე ტექნიკუმის მასწავლებელმა გიორგი ონიაშვილმა შეადგინა სახელმძღვანელო „ვიოლინოს სკოლა". სახელმძღვანელოში გამოყენებულია ცნობილი ქართველი კომპოზიტორების (ზაქ. ფალიაშვილის, დ. არაყიშვილის, მ. ბალანჩივაძის) მელოდიები.

ეს სახელმძღვანელო განიხილა სახ. კონსერვატორიის საორკესტრო კათედრამ და სამეცნიერო მეთოდბიურომ, რომლებმაც საჭიროდ სცნეს მისი გამოცემა.



ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის მე-2 ტექნიკუმი (გ. ონიაშვილის კლასი). სურათზე: ვალია ხაზინა, ფრიადოსანი, აქტივისტი, რომელმაც 3 წელიწადში გაიარა 7 წლის კურსი. ამჟამად ხაზინა ამზადებს კონცერტს არიის დამღერისათვის.



4 მარტის სახელობის სანატორიუმი აფხაზეთში. ფოტო პარასკევოპულოსი.

ახალი ამბები

○ **მთავრობის დადგენილებით,** ნებადართულია კოლმეურნეობათათვის, კოლმეურნეთათვის და ერთპიროვნულ მეურნეთათვის კარტოფილის შეუფერხებელი გაყიდვა.

○ **სახკინმრეწვის ქუთაისის** განყოფილებამ მოაწყო ხმოვანი კინო-დანადგარები გუმბრინში, კურორტ წყალტუბოს კლუბსა და წყალტუბოშენში. რაიონის კოლმეურნეობათა მომსახურებისათვის მიღებულია ორი მოძრავი კინო-დანადგარი.

○ **სავეტერინარო ინსტიტუტის** კურსდამთავრებული ახალგაზრდა ვეტექიმები, რომლებმაც ამას წინათ დაამთავრეს ინსტიტუტი, სამუშაოდ გაიგზავნენ საქართველოს მეცხოველეობის რაიონებში.

○ **ინგლისის მუზეუმის** თხოვნით რუსთაველის თეატრის ლიტერატურული განყოფილება ზემოაღნიშნულ მუზეუმს უგზავნის „ოტელოს" დადგმასთან დაკავშირებულ მასალებს. მუზეუმს გაეგზავნება ფოტომასალა, კოსტიუმების ესკიზები, ცალკეული სცენების დადგმათა მაკეტები და სხვ.

○ **ლაითურის ჩაის** საბჭოთა მეურნეობის დირექციას გაჰყავს ახალი საავტომობილო გზა ლაითურიდან ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობამდე 7 კილომეტრის მანძილზე. ახლა სწარმოებს გზის მოკირწყვლა და ხიდის აგება მდ. ჩოლოქზე.

○ **თბილისის სახ. უნივერსიტეტის** დავალებით დოც. დ. პ. კარბელაშვილმა კახეთის რაიონებში შეაგროვა ხალხური შემოქმედების ორიათასამდე ნაწარმოები. შეგროვილი მასალის საფუძველზე კარბელაშვილი სწერს ნარკვევს შუა-კახეთის ენის თავისებურებაზე, რომელსაც სახ. უნივერსიტეტი გამოსცემს.

◇

შემთხვევები

# **ქურდობა.** 13 მარტს დღისით შერჩეული გასაღებით ქურდები შეიპარნენ მოქ. ნ. თევდორაძის ბინაში (კალიაევის აღმართი, № 9/11) და მოიპარეს იქიდან სამი ათასი მანეთის ნივთები. იმავე დღეს ქალაქის მილიციის მე-6 განყოფილების თანამშრომლებმა ქურდობის კვალს მიაგნეს. ქურდები დააპატიმრეს თბილისის სადგურზე. მათ აღმოაჩნდათ თევდორაძის ბინიდან მოპარული ყველა ნივთი. ქურდები აღმოჩნდნენ ვ. ლ. ედიშერაშვილი და ლ. ა. გძელიძე. ისინი მატარებელს ელოდებოდნენ, რომ ნაქურდალი ნივთები ცხინვალში წაეღოთ. ბოროტმოქმედნი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს.

# **საბარგო მანქანისა და ტრამვაის დაჯახება.** კალინინის ქუჩაზე პირველი მარშრუტის ტრამვაის ვაგონს დაეჯახა საბარგო ავტომანქანა № 7-68. საბარგო მანქანა ეშვებოდა ტურგენევის ქუჩაზე, შოფერმა ტ. ო. მოსიანმა ვერ შესძლო თავის დროზე დაემუხრუჭებინა სწრაფად მიმავალი მანქანა, რის შედეგად მოხდა დაჯახება. დაჯახებისას მნიშვნელოვნად დაზიანდა ტრამვაის ვაგონიც და მანქანაც. არავინ დაშავებულა, გამოძიება სწარმოებს.

# **მოკლულის გვამის აღმოჩენა.** 11 მარტს ღამით საბურთალოს რაიონში აღმოაჩინეს მოკლული 30-35 წლის უცნობი მოქალაქის გვამი. გვამთან არავითარი დოკუმენტები არ აღმოუჩენიათ. გვამი მოთავსებულია ქალაქის პირველ საავადმყოფოს (ყოფილი არამიანცის) პროზექტურაში.

◇

კრებები

— **რუსთაველის სახელობის** ლიტერატურის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტში დღეს საღამოს 7 საათზე შესდგება ფოლკლორის სექციის სხდომა. მოხსენებას გააკეთებს ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი ქს. სიხარულიძე თემაზე: „ქართული ხალხური ლირიკის სიმბოლიკა".

— **განათლების მუშაკთა სახლში** 16 მარტს საღ. 8 ს. პროფ. ვ. ბერიძე წაიკითხავს ლექციას: „შოთა რუსთაველი". დასწრება თავისუფალია.

სასამართლო

გათახსირების ბუდეში

ბრალდებულის სკამზე ათი ახალგაზრდაა, ზოგი 19 წლისა, ზოგი მეტნაკლებად უმცროს-უფროსი.

რა დააშავეს, რა ბრალი მიუძღვით, ერთი კვირის განმავლობაში რომ არჩევდნენ მათი საქმე?

მთავარი ბრალდებულია ლეონიდ კუკულდავა, საჰაერო ფლოტის ყოფილი მოტორისტი. იგი კარგა ხანია ასცდა სწორ გზას, ისარგებლა მშობლების უყურადღებობით, ნელნელა წუმპეში დაეშვა, დაუკავშირდა საეჭვო პირებს და აირია მისი ცხოვრების გზა-კვალი.

პირადი ანგარიშების გასწორებისას მან შარშან თებერვალში მოჰკლა თავისი ამხანაგი, ვინმე ფალავანდიშვილი, რის შემდეგ ბაქოში მიიმალა. იქ გაიცნო ახალგაზრდა ქალები: გალია ლუცენკო და რაისა დორონცევა. თბილისში დაბრუნებულ კუკულდავას ამ ქალებმა მალე მოაკითხეს, დაბინავდნენ თბილისში და გარყვნილ ცხოვრებას შეუდგნენ. ერთხელ მათთან ქეიფის დროს კუკულდავას როგორღაც წამოსცდა თავისი საიდუმლოება. ქალებმა მამხილებელი საბუთი იგდეს ხელთ და უფრო გათამამდნენ. მეტი რა გზა ჰქონდა კუკულდავას, „პატივი" უნდა ეცა მათთვის, თორემ ფალავანდიშვილის მოკვლის ამბავს გაამხელდნენ...

კუკულდავას ბევრი აღარ უფიქრნია, პაემანი დაუნიშნა ქალებს და „გასასეირნებლად" აეროდრომის მინდვრისაკენ წაიყვანა. იქ დრო იხელთა და ორივე ბებუთით აჰკუწა.

მეორე ბრალდებულიც, ლეონიდ გრაბოვეცკი, ეშმაკურად რომ აცეცებს გაიძვერა თვალებს, გაქნილი, გაუსწორებელი ხულიგანი, გახრწნილი პიროვნებაა. ზოგ უვიცთან „საიდუმლო განყოფილების" მომუშავედ ასაღებდა თავს ან დიდ პარტიულ კაცად. რასაც კი მოისურვებდა, თავისი გაჰქონდა. მაგრამ განსაკუთრებულ უზამსობასა და უზნეობას ქალების მიმართ იჩენდა.

— პირდაპირ გასაჭირში ვიყავი, სახლი გახრწნილების ბუდედ აქცია. მოზარდი შვილები მყავს, ასეთი მეზობლებისაგან კარგი რა უნდა ესწავლათ? განაცხადა გრაბოვეცკის მეზობელმა კოლუაშვილმა. გარყვნილებას გრაბოვეცკის წვრილი ქურდობაც ემატებოდა.

და აი ასეთ უმსგავს ტიპთან დამეგობრებული იყო რადიოკავშირის შოფერი მიხეილ ვართანოვი. უკანასკნელი გრაბოვეცკის გავლენას დაემორჩილა. მათ ხშირად დაჰყავდათ ქალები მანქანით ქალაქგარეთ, ითერებოდნენ და გახრწნილებას ეწეოდნენ. იკარგებოდა საათები, ფუჭდებოდა დაწესებულების მანქანა...

მილიციელს რომ სიმარდე არ გამოეჩინა, მეოთხე ბრალდებული ანატოლი ჩესკი გამეტებით მოქნეულ ბებუთს მას გულში ჩასცემდა. ხელისუფლების წარმომადგენლის უპატივცემულობა, ურჩობა, ცინება, ჩხუბი — ყველაფერი ეს მხოლოდ წესრიგისაკენ მოწოდების შედეგი იყო.

უზენაესმა სასამართლომ, ამხ. ზერზრაშვილის თავმჯდომარეობით და პროკურორ დობორჯგინიძის მონაწილეობით, დაწვრილებით განიხილა ზემოხსენებულ ხულიგანთა და დანარჩენ ბრალდებულთა საქმე. გამოირკვა პასუხისგებაში მიცემული სამი ახალგაზრდის: არაქელოვას, გრიგორიანისა და ონიშჩენკოს უდანაშაულობა, რისთვისაც ისინი სასამართლომ გაამართლა. სამს: აკოფოვს, მაილოვსა და გეურქოვს გამოეცხადა საზოგადოებრივი გაკიცხვა, რადგან მათ იცოდნენ კუკულდავას ბოროტმოქმედების ამბავი და ეს სათანადო ორგანოს არ აცნობეს.

კუკულდავას მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შორეულ ბანაკში გადასახლებით, ხულიგან გრაბოვეცკის — 3 წლით პატიმრობა, ამავე ვადით ხმის უფლების ჩამორთმევა და საქართველოს ფარგლებიდან 5 წლით გადასახლება. ჩესკის და ვართანოვს სამ-სამი წლით თავისუფლების აღკვეთა.

შ. ზ.

◇

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

15 მარტს პროპაგანდისტთა სკოლის მეცადინეობა (ყველა ჯგუფი). საღამოს 7 საათზე.

საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი— კონსულტაცია თემაზე: ბოლშევიკების პარტიის ბრძოლა „დემოკრატიული ცენტრალიზმის" ანტიპარტიული ჯგუფის წინააღმდეგ. საღამოს 7 საათზე.

ლენინიზმის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: სოციალიზმი და კომუნიზმი. საღამოს 7 საათზე.

○

— **კიროვის პარტრაიკომი** იუწყება, რომ დღეს, საღამოს 7 საათზე, ახალი სკოლის შენობაში (თოდრიას ქ. № 9) გაიმართება პროპაგანდისტთა სემინარის მორიგი მეცადინეობა თემაზე:

1. საქ. კ. პ. (ბ) XIII ყრილობა და კონტრრევოლუციურ ტროცკიზმთან ბრძოლის საკითხები.
2. ლენინ-სტალინის ბრძოლა კომუნისტური ინტერნაციონალის შექმნისა და განმტკიცების საქმეში.

რაიონის ყველა პროპაგანდისტის დასწრება სავალდებულოა.

— **კიროვის რაიკომის პარტკაბინეტი** იუწყება, რომ დღეს, საღამოს 7 საათზე, პარტკაბინეტის შენობაში გაიმართება აგიტკოლექტივების მორიგი მეცადინეობა საკითხზე: „საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმის გადაწყვეტილებანი". რაიონის მცირერიცხოვან ორგანიზაციათა (მაღაზიები, არტელები და სხვ.) ყველა აგიტატორის დასწრება სავალდებულოა.

— **26 კომუნარის რაიკომის პარტკაბინეტში** დღეს, საღამოს 7 საათზე გაიმართება პროპაგანდისტთა სემინარის მორიგი მეცადინეობა.

— **საქ. კ. პ. (ბ) ყაზბეგის რაიკომი** იუწყება, რომ საკანდიდატო ბარათი № 0715940, გაცემული ამხ. სერგო ტემირაკის-ძე კობლოვის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

ა. ჟურუა

განთავისუფლებული თურქი ქალის კულტურის სასახლე

— დღეს ლექცია პუშკინის შესახებ, ბალაჯა ხანუმ!

— კეთილი, მოვალ.

წავიდა კიდეც. სალექციო დარბაზი მას ცარიელი არ დახვედრია. ბევრი ელოდებოდა ლექციის დაწყებას, ბევრი, მაგრამ მხოლოდ ქალები, თურქი ქალები. მთელი ქვეყანა პუშკინზე ლაპარაკობს, უსაზღვროდ უყვართ პუშკინი. თურქი ქალებიც ხარბად ისმენენ თვითეულ სიტყვას, ამ დიდი რუსი პოეტის შესახებ ნათქვამს. მისი ბევრი თხზულება წაუკითხავთ და მწერლის სიამოვნება უგრძვნიათ.

მომხსენებელი მოვიდა. ის კულტურის სასახლიდანაა. შემოკლებით ასე ეძახიან ამ დაწესებულებას თურქი ქალები და თვითეულმა მათგანმა იცის, რომ ეს არის აზერბაიჯანის განთავისუფლებული თურქი ქალთა კულტურის სასახლე ალი ბაირამოვის სახელობისა.

ბალაჯა ხანუმ კარგა ხანია გაეცნო ამ დაწესებულებას. მაშინ მას ჩადრი ეხურა, წერა-კითხვა არ იცოდა, ოჯახს იშვიათად შორდებოდა. მას უჩადრო ქალები ეწვივნენ, თურქ ქალთა კლუბში მიიწვიეს, წერა-კითხვა უნდა ესწავლათ. კლუბში ქალს რა უნდა,—ფიქრობდა ბალაჯა ხანუმ და უარზე იდგა. მისი ქმარი არ მოეშვენ. რა არ უთხრეს, რარიგ არ არწმუნებდნენ. ბალაჯა ხანუმ მოიდრიკა, დათანხმდა. კლუბში სხვებიც დაუხვდნენ, ჩადრიანები წერა-კითხვას სწავლობდნენ. ამით დაიწყეს და შემდეგ საქმე გაიხარა. წიგნში მათ თვალები აეხილა. კლუბში თანდათან მცირდებოდა ჩადრიანთა რიცხვი.

წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციო კლუბი აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე დაარსდა. ამ საქმის ინიციატორი სერგეი მირონის-ძე კიროვი იყო. გუშინდელი დღის ამბავივით ახსოვთ ქალებს სერგეი მირონის-ძის შეხვედრა მათთან. ეს შეხვედრა მეტად გულთბილი იყო, ალერსიანი და უბრალოდ საქმიანი. განთავისუფლების გზებს უჩვენებდა თურქ ქალებს საყვარელი ხელმძღვანელი, საუცხოო ადამიანი სერგეი მირონის-ძე კიროვი.

მაშინ კლუბს სამი ოთახი ეჭირა ბაზრის ქუჩაზე. მარტო წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციით არ ამოიწურებოდა მისი ამოცანები. კლუბის მუშაკები სცილდებოდნენ ოთხ კედელს, ოჯახებში შედიოდნენ ხოლმე დიასახლისებთან, მათთან მიჰქონდათ პარტიის ლოზუნგები და საბჭოთა ხელისუფლების დირექტივები. დაბრკოლება ბევრი იყო. ზოგი კვლავ უნდობლობით უყურებდა საუკუნოებრივი ჩაგვრისაგან განთავისუფლების გზის მაჩვენებლებს. მიუხედავად ამისა, მოთმინებული მუშაობა სასურველი ნაყოფი მოჰქონდა. კლუბის ირგვლივ უფრო და უფრო მეტი ქალები ირაზმებოდნენ. მუშაობის სფერო ფართოვდებოდა. წერა-კითხვის უკვე მცოდნე თურქ ქალებს შემდგომი წინსვლა ესაჭიროებოდათ. 1933 წ. აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) ც. კ-მა თურქ ქალებს გადასცა დიდი შენობა ყოფ. ნავთის მრეწველ მუხთაროვისა. პატარა კლუბი კულტურის სასახლედ შეიცვალა.

კულტურის სასახლესთან ჩამოყალიბდა სამკერვალო არტელი. მართალია, თურქი ქალები პირველად გაურბოდნენ მუშაობას, მაგრამ წინანდელ კლუბთან დაკავშირებულმა, იქ აღზრდილმა კადრებმა კეთილი გავლენა მოახდინეს დანარჩენებზე. მუშაობა გაჩაღდა. 1500-ზე მეტი ქალი, რომლებიც კულტურის სასახლეში სწავლობდნენ, ან მასთან ასე თუ ისე დაკავშირებულნი იყვნენ, ამჟამად ალი ბაირამოვის სახელობის სამკერვალო ფაბრიკაში მუშაობს.

კულტურის სასახლე ახლაც ასწავლის წერა-კითხვას თურქ ქალებს. ამას გარდა, აქ მოწყობილია სამედიცინო კურსები, ამზადებენ მოწყალების დებს, ტელეგრაფისტებს, შოფერებს, საბავშვო ბაღების მუშაკებს. არსებობს ტექნიკუმი, რომელიც ამზადებს მასწავლებლებს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათათვის. მოზრდილთა სკოლები 315 ქალმა გაიარა.

კულტურის სასახლეს ჰყავს საკუთარი ორკესტრი, რომელშიაც 45 თურქი ქალი მონაწილეობს. შარშან ეს ორკესტრი, როგორც ოლიმპიადაში გამარჯვებული, დააჯილდოვეს პირველი ხარისხის საპატიო სიგელით.

სასახლეში არსებობს თარისა და ქამანჩის წრეები. თურქი ქალები სწავლობენ ცეკვას. ნაყოფიერად მუშაობს ლიტერატურული წრე.

როგორც სასახლეში, ისე მის გარეთაც გაშლილია მასობრივი მუშაობა. კულტურის სასახლის მუშაკებმა თურქ ქალთა შორის დაამუშავეს მთავრობის დადგენილება აბორტის აკრძალვისა, მრავალშვილიან ოჯახთათვის დახმარების გაწევისა და სხვ. შესახებ. არა მარტო დაამუშავეს ეს დადგენილება, არამედ თვითონ არკვევდნენ მრავალშვილიან ოჯახებს, სათანადოდ აფორმებდნენ ამას, ეხმარებოდნენ დედებს კუთვნილი ფულის მიღებაში.

კულტურის სასახლის მუშაკები ფხიზლად იცავენ ქალის უფლებებს. კიდევ საბოლოოდ აღმოფხვრილი არ არის ბნელი წარსულის ნაშთები. არის შემთხვევები როდესაც ქმრები სამუშაოზე არ უშვებენ ცოლებს, მამები—ქალიშვილებს. კულტურის სასახლის აქტივისტები მიდიან ასეთ ოჯახებში. არწმუნებენ მამაკაცებს ძველი ტრადიციების უმართებულობაში და აცნობენ ქალის შრომის სარგებლიანობაში.

საბჭოთა ხელისუფლებამ 16 წლის მანძილზე აზერბაიჯანის არა მარტო ხალხთა სახე შეცვალა, არამედ თურქი ქალიც გვერდით ამოუყენა საბჭოთა კავშირის ბედნიერ ხალხთა ოჯახის განთავისუფლებულ ქალებს.

კულტურის სასახლეს აქვს საკუთარი მუზეუმი, მოცულობით პატარა, მაგრამ შინაარსით მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი.

აღშფოთებისა და სიბრალულის გრძნობა გიპყრობთ, როცა უყურებთ თურქი ქალის ცხოვრების წარსულის სურათებს...

...ძველი ბაქო. ვიწრო უბნების უშნო ქოხმახები. ბინის ღარიბული მოწყობილობა. აუტანელი ჭუჭყი.

...ქმარი სცემს ცოლს. ქალს საამისო არავითარი ჩაუდენია, მაგრამ მამაკაცი უფლებამოსილია: ცოლი მას ეკუთვნის, როგორც ფეხსაცმელი, სკამი, კერასთან რომ დგას. მამაკაცს ერთნაირი უფლება აქვს ცოლსა და სკამზე.

...ქალმა მოილოგინა. ქმარს შეატყობინეს, რომ ის ქალიშვილის მამაა.—როგორ? ქალიშვილისა?—ღრიალებს იგი. — მე ვაჟი მინდოდა, ვაჟი! საწყალი ქალი თვალებით შებრალებას სთხოვს გამძვინვარებულ ქმარს.

...ქალიშვილი გასათხოვარია. მას არავინ ეკითხება ნება-სურვილს. მამას აურჩევია სასიძო და ძალით ათხოვებს ქალიშვილს.

...მშობლები გარდაიცვალნენ. ობლად დარჩნენ. მოლა უნაწილებს მათ მშობლების ქონებას: ორ წილს ძმას აძლევს, ერთ წილს—დას. ამ უკანასკნელის დანაშაული მხოლოდ ის არის, რომ მდედრობითი სქესს ეკუთვნის.

...მამაკაცს ორი ცოლი ჰყავს. ერთი მათგანი ბავშვიანია და ცხოვრებას მოუდრეკია, მეორე ახალგაზრდაა და ლამაზი. ქმარი ამ უკანასკნელს ეალერსება. პირველ ცოლს გვერდით უყურებს ზიზღით. უბედურ ქალს ტირილი—ღა დარჩენია ნუგეშად.

...მოლასთან უშვილო ქალების რიგი გამართულა. შვილებს პირდება მათ ეს „ღვთის მოციქული". ცალი თვალი კი უჭირავს შესაწირავებისკენ, რომლებიც ბლომად მოუტანიათ შვილ ნატვრით ქალებს.

...ბავშვები სასწავლებელში. მდიდრის შვილები სხედან და სწავლობენ, ღარიბი ბავშვები კი მუშაობენ და ცრემლით სავსე თვალებით შესცქერიან გულქვა მასწავლებელს.

აქ სწყდება შავბნელი წარსული და თვალწინ წარმოგიდგებათ ადამიანური ბედნიერების მზით განათებული აზერბაიჯანი.

ქარხანა-ფაბრიკებში მამაკაცების გვერდით დგანან მხიარული და ამაყი თურქი ქალები.

აი, კოლმეურნე ალმაზ ალიევა, რომელიც დღეში 556 კგრ. ბამბას კრეფს. საბჭოთა მთავრობამ იგი ლენინის ორდენით დააჯილდოვა.

ბასტი ბაგიროვა—კოლმეურნე ქალი, ბამბის მკრეფავი, აზერბაიჯანის მინდვრების პირველი სტახანოველი, შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებული.

მანია სკენდეროვა — კოლმეურნე, ორდენოსანი.

კამერ რაგიმოვა, რომელმაც თურქ ქალთა კლუბში ისწავლა წერა-კითხვა. აქტივისტი ქალი იყო, ქალთა შორის მუშაობდა. სამრეწველო აკადემიაში გაგზავნეს. ბაქოს დაბრუნდა ინჟინრად და ახლა ნავთის საწარმოებში მუშაობს.

ლეილა მამედბეკოვა კულტურის სასახლის მცირემცოდნეთა სკოლაში სწავლობდა. ახლა მფრინავია.

ხანუმ მამედოვა. კულტურის სასახლეში აღიზარდა. ახლა ალი ბაირამოვის სახ. სამკერვალო ფაბრიკის დირექტორია.

ჩვენთვის ნაცნობი ბალაჯა ხანუმ ალეკპეროვა—ბაქოს საბჭოს წევრია, აქტიური საზოგადოებრივი მუშაკი.

ბახრიე ქადიროვა — თურქ ქალთა კლუბის თანამშრომელია 1926 წლიდან. კომუნისტი. აქტიური პარტიული მუშაკი. ამჟამად განთავისუფლებულ თურქ ქალთა კულტურის სასახლის დირექტორია.

რა კონტრასტია ძველსა და ახალს შორის! რა საუცხოო საბუთია ჩვენი პარტიისა და დიდი სტალინის ზრუნვისა ქალთა განთავისუფლებისათვის!

ბაქო

ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი

15-III ტოსკა

16-III პრემიერა ბალეტი გედების ტბა

დასაწყისი სრულ 8 საათზე.

ლენინის ორდენოსანი რუსთაველის თეატრი

15-III ალკაზარ

16-III არსენა

დასაწყისი საღ. 8 საათზე.

მარჯანიშვილის სახ. თეატრი

15-III წარ. № 124 იცკა რიქინაშვილი

16-III წარ. № 125 ვერაგობა და სიყვარული

დღეს სახკინმრეწვის თეატრებში

ოქტომბერი 30, 8, 9-30, 11 — ახ. ხმოვანი ფილმი ფედკა

დახკვრელი 6 30, 8, 9-30, 11 — ახალი ხმოვანი მხატვ. ფილმი ალმასი

კომკავშირელი 6-30, 8-30, 10-3 — დადგმის მე-2 თვე დარიკო

რ. ლუქსემბ. 6,7-40, 9-20, 11 — დადგმის მე-2 კვირა ხმ. სურათი უშიშარი კაპიტანი

2ი კომ. სახ. 6,7-30, 9-30 — ხმოვ. მხატვ. ფილმი ოქუაშუროვა არზრუმს

ახალი ამბები — ესპ. ამბები მე-14 გამოშვ. ხმ. ჟურნალები № 6 და 7.

დღეს, 15 მარტს დიდი წარმოდგენა ახალი გასტროლიორები. ფრანგული პროფეს. ჭიდაობის მე-14 დღე. ჩამოვიდა და დღეს ჭიდაობს ცნობ. მოჭიდ. ვ. ბურევოი დღეს ჭიდაობს 3 წყვილი. 1. ვ. ბურევოი — კარელინი. 2. ყარა მუსტაფა — ვ. გომიზოვი. 3. ნ. ვერდენი — ხევერიკი. წარმ. დასაწყ. 8 ს. 30 წ. ჭიდ. — 10 ს. 30 წ. სალარო 12-2 ს. და 5 ს-დან.

სახცირკი ტელ. 3-11-44

მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16 გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილეების: 3—63—03 და 3—08—67, სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებების: პარტიულის—3—57—61, სასოფლო სამეურნეო—3—73—40, მუშათა წერილების—3—73—24, ღამის რედაქტორის—3—26—67, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ორჯონიკიძის სახ. სტამბა „კომუნისტი" კამოს ქ. № 68